# საქართველოს რესპუბლიკა


დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 31 დეკემბერი, 2011 წელი.

№246 (6877)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# გილოცავთ ახალ წელს!




## „ყველაზე მეტად რომელ პოლიტიკურ ლიდერს ენდობით?“

### გამოკითხვაში ბიძინა ივანიშვილი ლიდერობს

Presage.tv-ს 26-29 დეკემბერს ჩაატარა გამოკითხვა, რომელშიც 2686-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. ჩვენს მიერ დასმული კითხვა ასეთი იყო: „ყველაზე მეტად რომელ პოლიტიკურ ლიდერს ენდობით?“, რეიტინგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

მიხეილ სააკაშვილი – 5,8%
ბიძინა ივანიშვილი – 63,0%
ირაკლი ალასანია – 7,9%
დავით უსუფაშვილი – 3,7%
დავით გამყრელიძე – 1,8%
გიორგი თარგამაძე – 0,2%
ნინო ბურჯანაძე – 3,8%
გუბაზ სანიკიძე – 4,6%
შალვა ნათელაშვილი – 1,3%
სხვას – 1,7%
არც ერთს – 6,1%

## ახლა ხდება იმ საზოგადოებრივი ენერგიის ხელახალი თავმოყრა, გასული წლების გაუაზრებელი პოლიტიკური აქტივობის შედეგად რომ გაიბნა

3

## როგორია წლევანდელი ეკონომიკური შედეგები და რა პერსპექტივებია სამერმისოდ?

2

## საკანონმდებლო ჭრა-კერვის მაგისტრები ვარდისფერ საქართველოში

6

ეკონომიკა

# როგორია წლევანდელი ეკონომიკური შედეგები და რა პერსპექტივებია სამერმისოდ?

**2011 წლის ეკონომიკურ შედეგებსა და 2012 წლის ეკონომიკურ პერსპექტივებზე მოსაზრებებს გამოთქვამენ ექსპერტები ეკონომიკის საკითხებში ნოდარ ხადური და ლადო პაპავა.**

### როგორ შეფასდა 2011 წელი ეკონომიკური თვალსაზრისით?

**ნოდარ ხადური — ეკონომიკაში, 2010 წელთან შედარებით, 2011 წელს თვისებრივი ცვლილებები არ მომხდარა.**

**ლადო პაპავა — 2011 წელი წინა წლებისგან დიდად არ განსხვავდებოდა, ტენდენციები, რომლებიც ქართულ ეკონომიკაში ჩამოყალიბებული იყო, წელსაც გრძელდებოდა.**

ნოდარ ხადურის აზრით, წლევანდელი წელი ეკონომიკური თვალსაზრისით არ არის ამოვარდნილი იმ დინებიდან, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით წინა რამდენიმე წელში ჩამოყალიბდა. ეკონომიკური თვალსაზრისით წლევანდელი წელი წინა პერიოდისგან განსხვავებული არ ყოფილა. **„ეკონომიკაში, 2010 წელთან შედარებით, 2011 წელს თვისობრივი ცვლილებები არ მომხდარა. იმავე თვითდინებით მიდის ქვეყნის ეკონომიკა, რაც წინა წელს იყო. ხელისუფლებას ჰქონდა გარკვეული სურვილები, თუმცა ამ სურვილების აღსრულების მექანიზმების პოვნა მთავრობამ ვერც წელს შეძლო“,** — აღნიშნავს ნოდარ ხადური.

მისივე თქმით, მსოფლიო ეკონომიკაში ჯერაც დაუძლეველი კრიზისის ფონზე დიდი ოპტიმიზმი იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკა აღმავლობის გზაზე დადგებოდა და ყველა პრობლემას გადაწყვეტდა, არ უნდა გვქონოდა. ექსპერტის აზრით, ამის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ წლის მეორე ნახევარში მოხერხდა თითქმის 15%-იანი ინფლაციის მოთოკვა. როგორც ჩანს, ეკონომიკური ზრდა არის, თუმცა, არა ორნიშნა, რომლის სურვილი გვაქვს. სამწუხარო იყო ის, რომ ამ პერიოდში ძალიან გაძვირდა სურსათი, ტრანსპორტი; ის ადამიანები, რომელთა შემოსავალი არც თუ ისე მაღალია, ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩდნენ და, შესაბამისად, ქვეყანაში სოციალური პრობლემები წინა პლანზე აღმოჩნდა. **„ინფლაცია დაძლეულ იქნა, რომლის ყველაზე მაღალი დონე მაისში იყო, მიუხედავად ამისა, საქართველოში სურსათზე ფასები უკანასკნელი ორი წლის მანძილზე დაახლოებით 25-30%-ით გაძვირდა“,** — დასძენს ექსპერტი ნოდარ ხადური.

ლადო პაპავას აზრით, 2011 წელი დიდად არ არის განსხვავებული ყველა წინა წლისგან, რადგანაც ტენდენციები, რომელიც იყო ჩამოყალიბებული ქართულ ეკონომიკაში, პრაქტიკულად, ეკონომიკის ყველა სფეროში წელსაც გაგრძელდა. მაგრამ, განსაკუთრებით აღსანიშნავია თვისობრივად ახალი მოვლენა, რომელსაც



მანამდე ადგილი არ ჰქონდა და ხელისუფლების მხრიდან „ქართუ“ ბანკის მიმართ პოლიტიკური ნიშნით დაპირისპირებას უკავშირდება. მისივე თქმით, ეროვნული ბანკი და მთავრობა ზრუნავენ ბანკებზე, ასე იყო საქართველოში წლების განმავლობაში, მაგრამ **„რაც 2011 წელს ბანკ „ქართუსთან“ დაკავშირებით მოხდა, არის ძალიან ცუდი პრეცედენტი და მე მას გამოვყოფდი, როგორც ხელისუფლების მიერ დაშვებულ ყველაზე დიდ შეცდომას და უარყოფით მოვლენას“,** — აღნიშნავს ლადო პაპავა.

### ეკონომიკის განვითარებისთვის ხელისუფლების რომელი გადაწყვეტილება შეიძლება მივიჩნიოთ წარმატებულად?

**ნოდარ ხადური — მცირე და საშუალო ბიზნესის ადმინისტრირების გამარტივების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება უნიშვნელოვანესი იყო.**

**ლადო პაპავა — ევროობლიგაციების დაფარვის ვადა გადავადებულია 2021 წლამდე. საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი აბსოლუტურად სწორად მიმაჩნია.**

ნოდარ ხადური ეკონომიკის სფეროში ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებად მიიჩნევს მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ადმინისტრირების გამარტივების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას. **„იმის გამო, რომ მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა საკმაოდ დიდია, ხოლო ქვეყნის ეკონომიკაში მათი წილი საკმაოდ დაბალია, ამ ბიზნეს არ უნდა ვუყუროთ, როგორც ფისკალურს, ანუ შემომტან სფეროს. ამ ბიზნესებისადმი ამგვარი დამოკიდებულება ამავე სფეროში სულ უფრო მეტ ადამიანს მისცემს დასაქმების საშუალებას, რაც თავის მხრივ ხელისუფლებას ამავე ადამიანებზე სოციალური ხარჯების შემცირების საშუალებას მისცემს“,** — დასძენს ნოდარ ხადური.

ლადო პაპავას განმარტებით, რაც შეეხება ყველაზე სწორ გადაწყვეტილებას, მისი აზრით, ასეთი გადაწყვეტილებაა, როდესაც საქართველოს მთავრობამ მიიღო ევროობლიგაციების რესტრუქტურიზაციის შესახებ, რაც პრაქტიკულად განხორციელდა იმით, რომ გამოშვებულ იქნა ევროობლიგაციები 10-წლიანი ვადით, რითაც 2008 წელს გამოშვებული ევროობლიგაციების 84% გამოისყიდა. **„ევროობლიგაციების დაფარვის ვადა გადავადებულია 2021 წლამდე. საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი აბსოლუტურად სწორად მიმაჩნია“,** — აცხადებს ლადო პაპავა, რომელიც თავისივე პოზიციას იმითაც ამაგრებს, რომ 2008 წელს ევროობლიგაციების გამოშვებას შეცდომად თვლიდა. აბსოლუტურად გაუგებარი იყო მიზანი, თუ რისთვის აკეთდებდა ამას მთავრობა, მაგრამ რაც 2011 წელს ამ საკითხთან მიმართებაში გაკეთდა, აბსოლუტურად ვამართლებ, რადგან ვალის გადაუვადებლობის შემთხვევაში, საქართველოს მისი გადახდა 2013 წელს, საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების წელს მოუწევდა.

პაპავა წლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წარმატებად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ საქართველოს მთავრობამ 2011 წელს მაქსიმუმს მიაღწია მოსკოვთან რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრების მიზნით მიმდინარე მოლაპარაკებებში.



### ეკონომიკის განვითარებისთვის ხელისუფლების რომელი გადაწყვეტილება შეიძლება მივიჩნიოთ შეცდომად?

**ნოდარ ხადური — 2011 წელს მიღებული იყო ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ამოვარდნილი იყო საერთო სიტუაციიდან, სიმინდის პროგრამა მოუმზადებლად განხორციელდა, რის გამოც ბევრმა ადამიანმა იზარალა.**

**ლადო პაპავა — ქართულ ეკონომიკაში რუსული კაპიტალის დიდი მოცულობით ჩართვა და მისთვის საქართველოს ენერგეტიკის სფეროში არეალის გაფართოება შეცდომად მიმაჩნია.**




ნოდარ ხადურის განმარტებით, 2011 წელს მიღებული იყო ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ამოვარდნილი იყო საერთო სიტუაციიდან. ამის მაგალითად იგი მიიჩნევს მოუმზადებლად სიმინდის პროგამის განხორციელებას, რამაც საერთო ჯამში ბევრი ადამიანი აზარალა. ასეთივე ნაბიჯად მიიჩნევს ხადური ხელისუფლების მხრიდან ბიზნესთან დაკავშირებით პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილებების მიღებას იმავე ბანკ „ქართუსთან“ დაკავშირებით. **„ბანკ „ქართუს“ პრობლემა მას შემდეგ გაჩნდა, რაც ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მონაწილეობა გადაწყვიტა. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი გადაწყვეტილებებით ხელი ეშლება ბიზნესის განვითარებისთვის გარემოს შექმნას“,** — აღნიშნავს ნოდარ ხადური.

ექსპერტი სამწუხაროდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ქვეყნის ბიუჯეტიდან კვლავ გრძელდება ხარჯების იმ მიმართულებით გაღება, რომლისგანაც დადებითი შედეგი არ მიიღება. არის პროექტები, რომლებსაც რეალური შედეგები არ მოუტანია. ამის კარგი მაგალითია თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფუნქციონირება ფოთსა და ქუთაისში. ქუთაისში კიდევ რაღაცა სუნთქავს, მაგრამ ფოთთან მიმართებაში არანაირი რეალური ძვრები არ არის.

„აჯობებდა, რომ ხელისუფლება უფრო მეტ ყურადღებას გამოიჩენა დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის ურთიერთობებში“, — აღნიშნავს ნოდარ ხადური, რომლის აზრითაც, ქუთაისში ხელისუფლებამ ცალსახად დაიჭირა დამსაქმებლების პოზიცია და ძალაც კი გამოიყენა იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც აბსოლუტურად სამართლიან პროტესტს გამოთქვამდნენ მუშაობის პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

იხ. 4 გვ.

სტატისტიკა

# 2011 წლის ყველაზე ხმაურიანი გადადგომები მსოფლიო ბიზნესსა და ეკონომიკაში

**2011 წელს მსოფლიო, რომელმაც ფინანსური კრიზისიდან გამოსვლა დაიწყო, ახალი ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. ამიტომ კომპანიებისა და მთავრობების ზოგი ლიდერი საკუთარი ნებით წავიდა თანამდებობიდან, ზოგს კი პოსტი დაატოვებინეს. გთავაზობთ წლის ყველაზე რეზონანსული გადადგომების რეიტინგს.**

**დომინიკ სტროს-კანი, სავალუტო ფონდის ყოფილი ხელმძღვანელი** 19 მაისს, მას შემდეგ გადადგა, რაც ნიუ-იორკის პოლიციამ ერთ-ერთი სასტუმროს მოსამსახურის გაუპატიურების ბრალდებით დააკავა.

მართალია, მოგვიანებით მას ბრალდება მოუხსნეს, მაგრამ გავლენიანი პოლიტიკოსის კარიერა ამ ინციდენტის გამო დასრულდა. კერძოდ, ის იძულებული გახდა უარი ეთქვა საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე, თუმცა სკანდალამდე პოპულარობით ქვეყნის ამჟამინდელ ლიდერს ნიკოლა სარკოზის უსწრებდა.

**ლეო აპოტეკერმა — Hewlett-Packard-ის გენერალურმა დირექტორმა** ეს პოსტი ათი თვით შეინარჩუნა, სექტემბერში კი იმის გამო გაათავისუფლეს, რომ HP-სთვის საკვანძო, პერსონალური კომპიუტერების ბიზნესის გაყიდვა და პლანშეტების ბაზარზე Apple-თან კონკურენციაზე უარის თქმა გადაწყვიტა. აპოტეკერის არათანამიმდევრული ქმედებების გამო HP-ის აქციები 47%-ით გაუფასურდა და კომპანიამ საბაზრო ღირებულების 30 მილიარდი დოლარი დაკარგა.

**სილვიო ბერლუსკონიმ — იტალიის პრემიერ-მინისტრმა,** რომელიც ქვეყნის მთავრობას მცირე შესვენებებით 1994 წლიდან ხელმძღვანელობდა და ამ დროის განმავლობაში არაერთ პოლიტიკურ და სექსუალურ სკანდალში გაეხვა, თანამდებობა 12 ნოემბერს დატოვა. მის მთავრობას იმის გამო აკრიტიკებდნენ, რომ ვერ შეძლო დავალიანების კრიზისთან ქმედითი პროგრამის შემუშავება.

**მაიკლ ვუდფორდი, Olympus-ის გენერალური დირექტორი.** მან იაპონურ კომპანიაში პოსტი ოქტომბრის შუა პერიოდში, მას შემდეგ დატოვა, რაც Olympus-ის მთელი რიგი გარიგებები ეჭვქვეშ დააყენა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ კომპანია ცდილობდა 1990-იანი წლების საინვესტიციო დანაკარგების დამალვას.

**ოსვალდ გრიუბელი, UBS-ის გენერალური დირექტორი.** მან თანამდებობა სექტემბრის ბოლოს დატოვა და ამით საკუთარ თავზე სრულად აიღო ბანკის ლონდონური ტრეიდერის დანაშაული, რომლის შედეგადაც UBS-ს 2,3 მილიარდი დოლარის ზარალი მიადგა.

**ჯონ კორზაინი, MF Global-ის გენერალური დირექტორი.** საბროკერო კომპანია, რომელიც იტალიის, ირლანდიისა და ესპანეთის ობლიგაციებს ყიდულობდა, ნოემბერში გაკოტრდა და თავის ისტორიაში რეკორდული კვარტალური ზარალი — 192 მილიონი დოლარი მიიღო. შემოწმებებმა დაადასტურა, რომ კრახისგან თავის არიდების მიზნით კომპანიამ კლიენტების თანხებიდან 1,2 მილიარდი დოლარი დაკარგა.

**სტივ ჯობსმა, Apple-ის გენერალურმა დირექტორმა** თანამდებობიდან წასვლის შესახებ 24 აგვისტოს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო განაცხადა. კომპანიისთვის, სხვა ყველაფერთან ერთად, ეს ნიშნავდა ახალი ელემენტების შეტანის აუცილებლობას განვითარების სტრატეგიაში, რომელიც მნიშვნელოვნად ემყარებოდა მისი დამფუძნებლის პირად თვისებებსა და ქარიზმას. 5 ოქტომბერს ჯობსი გარდაიცვალა.

**ჯონ გალიანო, Christian Dior-ის არტ-დირექტორი.** ცნობილი დიზაინერი თანამდებობას ანტისემიტური განცხადებების გამო დაემშვიდობა. ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ექსცენტრიული გალიანო Dior-იდან და John Galiano-დან მარტში, პარიზის ერთ-ერთ კაფეში მომხდარი ინციდენტის გამო დაითხოვეს. მოგვიანებით სასამართლომ მას 6 ათასი ევროს გადახდა დააკისრა და გამოსაცდელი ვადაც მიუსაჯა.

**ნაომო კანი, იაპონიის პრემიერ-მინისტრი.** მან თანამდებობა 16 აგვისტოს დატოვა. ამის მიზეზი ის იყო, რომ დამანგრეველი მიწისძვრისა და ცუნამის შემდეგ მოსახლეობა ეკონომიკის ზრდის დაბალი ტემპებით უკმაყოფილო იყო.



ინფორმაცია

### „ვეძებთ სიტყვის თავისუფლებას“

**გუშინ სასტუმრო „ჰოლიდეი ინის“ წინ პრესის გავრცელების მხარდამჭერი აქცია „ვეძებთ სიტყვის თავისუფლებას“ გაიმართა .**

**აქციაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა მედიასაშუალებების წარმომადგენლები, ჟურნალისტები, იურისტები, პოლიტიკოსები და მედიაექსპერტები. აქციის მონაწილეებს ჰქონდათ ფარნები და პლაკატები წარწერით: „ჩვენ ვაშუქებთ, საакაშვილი აბნელებს“.**

**აქციის მონაწილეებს ასევე ეჭირათ პლაკატი: „აქ არაფერი იყიდოთ, ამან წაართვა პრესას ჯიხური“. აქციის მონაწილეების ინიციატივით, პლაკატს მოგვიანებით იმ ახალ ჯიხურებზე გააკრავენ, რომლებიც პრესის გავრცელების ჯიხურების ადგილზე განთავსდა.**

**როგორც აქციის ორგანიზატორი გაზეთის „ასავალ-დასავალი“ ჟურნალისტი ჯაბა ხუბუა აცხადებს, აპროტესტებენ თბილისში პრესის ჯიხურების აღებას, რაც სხვა არაფერია, თუ არა თავისუფალი პრესის და სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული ტერორი.**

ინტერპრესნიუსი



**პროგნოზი**

# ახლა ხდება იმ საზოგადოებრივი ენერგიის ხელახალი თავმოყრა, გასული წლების გაუაზრებელი პოლიტიკური აქტივობის შედეგად რომ გაიბნა



**2011 წლის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგებზე, ტენდენციებსა და ამავე სფეროში 2012 წლის პერსპექტივებზე, „ინტერპრესნიუსი“ ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილს ესაუბრა**

**— ბატონო ზაზა, როგორ შეაფასებდით 2011 წელს საშინაო პოლიტიკაში განვითარებულ პროცესებს და რას მიიჩნევდით 2011 წელს ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად?**

— 2011 წელს სამი ძალზე მნიშვნელოვანი შედეგი ჰქონდა: პოლიტიკური ბრძოლის რევოლუციური მეთოდის დისკრედიტაცია უახლოესი რამდენიმე წლისთვის, მოსახლეობის აპათიის ფონზე ავტორიტარული ხელისუფლების ჩამოყალიბება, რომელიც მოქმედებს პრინციპით: მხოლოდ მე ვიცი, თუ რა სჭირდება ამ ქვეყანასა და ხალხს, რასაც, ბუნებრივია, ყველანი დასავლეთის შესახებ აბსტრაქტული წარმოდგენების ჩიხში შევყავართ. მესამეა ბიძინა ივანიშვილის განცხადებები, კარდინალურად რომ შეცვალა ქართული პოლიტიკური რელიეფი.

ყველაფერი ეს იმდენჯერ ითქვა, განმეორება უხერხულიც კი არის. რთული წელი იყო. ამ წლის განმავლობაში ბევრი რამ ვნახეთ: ხელისუფლების ალტერნატივად გააზრებული „რვიანის“ შევიწროება და „ექვსიანად“ ქცევა, შემდეგ ამ „ექვსიანის“ დაშლა, მაისის აქციები, რომელთა ლიდერებსაც, პირდაპირ ვიტყვი, პასუხისმგებლობის გრძნობის დეფიციტი აღმოაჩნდათ; სრული სტაგნაცია და უიმედობა და ბოლოს ნახსენები განცხადებები. როგორც ჩანს, რაღაც ამგვარი მოვლენის მოლოდინი იმდენად დიდი იყო, მომენტალურად ისეთი ტალღა აგორდა, რომელსაც თუ თავიდანვე რაღაც ყალიბში არ მოაქცევდი, ისევ ძველი ისტორიები განმეორდებოდა. იმას ვგულისხმობ, რაც 2007 წლის ნოემბრის შემდეგ ვნახეთ.

აუცილებელი იყო ახალი პოლიტიკური ქცევის წესის, ფორმების შემუშავება და ახლა სწორედ ეს პროცესია. ახალ ლიდერს ეყო მოთმინება, რომ მასობრივი გამოსვლებისა და რევოლუციური მოწოდებების ცდუნებას არ აჰყოლოდა და ამით ხელისუფლებისთვის კარგად ნაცნობ და ათვისებულ სივრცეზე არ აღმოჩენილიყო. ხელისუფლებამაც იგრძნო ეს და ყველა ხერხით ცდილობს მის გამოწვევას: მოქალაქეობის ჩამორთმევით, ბანკი „ქართუსა“ და „როსტომის სასახლის“ ისტორიით დაწყებული და ფოტოშოპში დამუშავებული სურათების გამოქვეყნებით დამთავრებული. აგრესიისა და შავი პიარის ისეთი ტალღაა აგორებული, რომ თუ არა ცოდნა იმისა, რა უნდათ შენგან, შეიძლებოდა, მართლაც აჰყოლოდი და ადრინდელი ლიდერების ბედი გაგეზიარებინა.

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ივანიშვილი ელოდება, თუ როდის დააგროვებს ხელისუფლება შეცდომების კრიტიკულ მასას, როდის გაამყარებს საბოლოოდ აზრს, რომ შესაცვლელია. მანამ კი, ხელისუფლება უსასრულოდ იმეორებს და ამითვე ცვეთს თავის საყვარელ პიარხერხებს: რუსული ფული, დასავლეთთან ინტეგრაციის პროცესის დასასრულის საფრთხე, შევარდნაძის ეპოქის რეანიმაციის საფრთხე, გარდუვალი ქაოსი და ასე შემდეგ.

მოგეხსენებათ, დასავლეთი როგორი ფრთხილია ასეთ დროს, მაგრამ იმედიანად რომ გაიხმა ხმები სააკაშვილის ასპარეზიდან წასვლის აუცილებლობის შესახებ, ესეც ფაქტია.



საბოლოოდ, ივანიშვილმა უკვე მიაღწია ძალზე მნიშვნელოვან შედეგს. ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას ვგულისხმობ იმის შესახებ, რომ სააკაშვილი არ არის დაინტერესებული პრემიერ-მინისტრის თანამდებობით. ვერ გეტყვით, რამდენად გულწრფელია ხელისუფლება ამგვარი აზრის გავრცელებისას, მაგრამ რაღაც მომენტში რომ მისი გამოხატვის აუცილებლობა იგრძნო, ფაქტია.

**— თქვენი აზრით, სავარაუდოდ, როგორ განვითარდება პროცესები საშინაო პოლიტიკაში 2012 წელს? მოგეხსენებათ, 2012 წელი საპარლამენტო არჩევნების წელია...**

— ვაშაძის განცხადებას ორი ურთიერთსაპირისპირო შედეგი შეიძლება მოჰყვეს და, ვფიქრობ, ორივე გათამაშდება. ერთი მხრივ, ეს იქნება სახელისუფლო პარტიის ეროზია და ერთი ბანაკიდან მეორეში გადარბენა, ხოლო, მეორე მხრივ, დაუფარავი ავტორიტარიზმი სახელისუფლო ძალოვანების მხრიდან. ხელისუფლებაში დღეს არიან ადამიანები, ვისაც ესმის, რომ პოლიტიკური ასპარეზიდან სააკაშვილის წასვლის შემდეგ მათი ბედი საეჭვოა და ყველაფერს გააკეთებენ როგორც მმართველი ისტებლიშმენტის ერთიანობის, ისე სიტუაციაზე კონტროლის შესანარჩუნებლად. ისინი, ალბათ, ახლა ლიდერს წამოსწევენ წინა პლანზე. ვფიქრობ, რომ იოლი თვეები არ გველის. ამიტომაც მგონია, რომ ივანიშვილის მოჩვენებითი პასიურობა სტრატეგიულად გამართლებულია. ჯერ ყველა ვექტორი არ გაშიშვლებულა და დასავლეთის მნიშვნელოვანი ნაწილიც ჯერაც ილუზიების ტყვეობაშია. თანაც სწორედ ახლა ხდება იმ საზოგადოებრივი ენერგიის ხელახალი კონცენტრაცია, გასული წლების გაუაზრებელი პოლიტიკური აქტივობის შედეგად რომ გაიბნა.

და კიდევ ერთი მომენტი, რომელიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს: ივანიშვილმა საზოგადოების თვითორგანიზების უნარის გაღვიძებაზე გადაიტანა აქცენტი. ეს კი, დამეთანხმებით, ჩვენს პოლიტიკაში სრულიად ახალი მოვლენაა. ჩვენ მრავლად გვყოლია ლიდერები, რომლებმაც ყველაზე კარგად „იცოდნენ“, რა სჭირდება ხალხსა და ქვეყანას, მთავარი იყო, ოსტატური პიარით დავერწმუნებინეთ. დღეს განსხვავებული ტიპის ლიდერის ჩამოყალიბებას ვუცქერთ.

**— თქვენი აზრით, რამდენად მართებულია მტკიცება, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე საზოგადოებას ასეთი არჩევანი ექნება — სააკაშვილი ან ივანიშვილი? და კიდევ, რამდენად სავარაუდოა პოლიტიკურ ასპარეზზე სერიოზული მესამე ძალის გამოჩენა?**

— რაც შეეხება მესამე ძალას, ეს ძველი ხერხია. ვიღაც ოპოზიციის ლიდერობაში უნდა შეეცილოს იმას, ვინც ხელისუფლებას საფრთხეს უქმნის. მან ერთგვარი მეხამრიდის როლი უნდა შეასრულოს. რეალურად, ამგვარი ძალის შექმნის რესურსები ქვეყანაში არ არსებობს, თუ აკრძალული მეთოდებით ხმებით უზრუნველყოფას არ მივიღებთ მხედველობაში. ასეთი მეხამრიდები უკვე არსებობს და კიდევ შეიქმნება. ცხადია, ხელისუფლება იზრუნებს იმაზეც, რომ ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოიპოვოს კრიტიკულად დიდი გავლენა.

წეღან ავტორიტარიზმი ვახსენე. გახსოვთ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა? ახლა ბევრს აღარ ახსოვს, რომ გარდა მმართველი პროსაბჭოთა პარტიისა, დემოკრატიული ფასადისთვის არსებობდა ე.წ. დემოკრატიული და გლეხთა პარტიები. ამგვარი ფასადი უმალ ადასტურებს ავტორიტარიზმის არსებობას, ვიდრე — უარყოფს. რაღაც მსგავსი სიტუაციის შექმნას ცდილობს დღეს ხელისუფლება და ნაწილობრივ შექმნა კიდეც სატელიტური პარტიების სახით. ცუდია, რომ ირანისა და ავღანეთის პრობლემებით შეწუხებული ბევრი დასავლელი პოლიტიკოსი თვალს ხუჭავს ამაზე და „ახლა ასეა საჭიროს“ მანკიერი პრინციპით ხელმძღვანელობს, თუმცა უნდა ითქვას, რომ სულ უფრო და უფრო ნაკლებად.

შეერთებული შტატების კონგრესმა გადაწყვეტილება მიიღო საქართველოსთვის თავდაცვითი იარაღის გამოყოფის თაობაზე. პრეზიდენტ ობამას ჯერაც არ მოუწერია ხელი ამ გადაწყვეტილებაზე. ვინმემ ეს შეიძლება ხელისუფლების გამარჯვებად გაიგოს. ამასთან, თუ იმას გავიხსენებთ, თუ როგორი ანგარიშვალდებულება ეკისრება იმავე კონგრესის მხრიდან ჩვენს ხელისუფლებას ამ იარაღის გამო, აშკარაა, რომ ნდობის ხარისხი მკვეთრად არის შემცირებული. სხვაგვარად ვიტყვი: დახმარებას უწევენ ჩვენს სახელმწიფოს და არა — ხელისუფლებას და ამ უკანასკნელის თავისუფლება იარაღთან დაკავშირებით აღარ არის იმ ხარისხისა, როგორიც იყო. თუ რას ნიშნავს ეს დიპლომატიურ ენაზე, თავად განსაჯეთ. ჯერაც ცნობილი არ არის, როგორი სახე ექნება კანონპროექტის საბოლოო ვარიანტს. ერთი რამ ცხადია, სრულფასოვანი დახმარების მიღებაში 2008 წელს ხელისუფლების მიერ რუსულ პროვოკაციაზე აყოლა და ამ რამდენიმე წლის განმავლობაში დაშვებული სხვა საგარეო თუ საშინაო შეცდომები გვიშლის ხელს.

**— სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შემდეგ რუსეთში განვითარებული პროცესები იმაზე მიანიშნებს, რომ 2012 წლის მარტისთვის, ანუ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ვითარება რუსეთში კიდევ უფრო დაიძაბება? თქვენი შეფასებით, სავარაუდოდ როგორ განვითარდება პროცესები რუსეთში?**

— ამ აქციებმა დაგვანახვეს მთავარი: რუსეთში დღეს სულ უფრო და უფრო მეტ ადამიანს ესმის, რომ „დერჟავის“ მუხლებიდან წამოდგომის იდეა, რომელსაც პუტინი განასახიერებდა, აღმოჩნდა ის ნიღაბი, რომლის მიღმაც ბანალური ელიტური კორუფცია და სახელმწიფოს ძარცვა იმალებოდა. რაც დრო გავა, პუტინის ხიბლი სულ უფრო და უფრო შემცირდება. ახლაც, როგორც სოციოლოგები აცხადებენ, მისი რეიტინგი ყოველკვირეულად ეცემა. მოგეხსენებათ, საპროტესტო განწყობები გადამდებია, მითუმეტეს, ისეთ ქვეყანაში, სადაც დიდი ხანია, მასობრივი პროტესტი არ გამოუთქვამთ და საქართველოზე „ისტორიული“ გამარჯვების, ნატოს გაფართოების შეჩერებისა და სხვა მსგავსი იდეებით იკვებებოდნენ.

დღეს პუტინის ყოფილი მოკავშირეები, რუსული „განათლებული კონსერვატიზმის“ იდეის მომხრეებიც კი იმას წერენ, რომ სწორედ დემოკრატია და თავისუფლება უნდა იქცეს იმ იდეებად, რომლებითაც ყოფილ საბჭოთა ბანაკს კვლავ რუსულ ორბიტაში დააბრუნებენ. სხვაგვარად თუ ვიტყვით, გარკვეულწილად, რუსული იდეაც კი ამ მოვლენების შედეგად თავისუფლებისა და დემოკრატიის ტერმინებში იწყებს საკუთარი თავის გამოხატვას. თუ ეს მსოფლმხედველობრივი პროცესი გაგრძელდა, შეიძლება იმპერიული აზროვნების ძველი მოდელის დასასრულსაც შევესწროთ. ასეთ რუსეთთან დიალოგი უკვე, ასე თუ ისე, შესაძლებელი იქნება, რაც ძალზე ძნელია პუტინისტური ნეოიმპერიალისტური რევანშიზმის ბატონობის პირობებში.

ამასთან, რუსი ანალიტიკოსები უკვე წინასწარმეტყველებენ, რომ საპროტესტო განწყობილებების ზრდას პასუხად რეჟიმის გაძლიერება შეიძლება მოჰყვეს. ეს არ არის უსაფუძვლო. ძნელი სათქმელია, რა დაედება საფუძვლად ამ გაძლიერებას და ღმერთმა არ ქნას, პუტინი კვლავ ომის ტალღაზე შეეცადოს თავისი მდგომარეობის გამყარებას. რუსული კორუფციის მასშტაბებს თუ წარმოვიდგენთ და აქედან გამომდინარე შიშს პასუხისგებისა, ასეთი რამ აღარ მოგვეჩვენება ნაკლებალბათურად.

**— თქვენი აზრით, თუ რუსეთში ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა, როგორი უნდა იყოს ოფიციალური თბილისის რეაქცია?**

— ოფიციალური თბილისი არ შეიძლება გამოთქვამდეს იმავეს, რასაც თავისუფლად ვამბობთ ჩვენ. პოლიტიკოსის მეტყველება განსხვავებულია ანალიტიკოსის, ოპოზიციონერის ან, უბრალოდ, დაინტერესებული პირის მეტყველებისგან. ცხადია, პროცესების მხარდაჭერა შეიძლება გამოითქვას, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს მიმდინარე მომენტის პოლიტიკურ კონიუნქტურას შეესატყვისება. ეს კი თავად პოლიტიკოსებმა უნდა განსაზღვრონ, რამდენადაც მეტი ინფორმაციის მატარებლები არიან. სამწუხაროდ, ამ დროს ოფიციალური თბილისი ზედმეტად ხშირად ადგას „გულის მოფხანვის“ ტაქტიკას და, რბილად რომ ვთქვათ, საქმესაც ვნებს. ამის მაგალითი იმდენია, რომ ჩამოთვლაც არ ღირს. როდესაც შენს უშიშროების კონცეფციაში რუსეთს 44-ჯერ ახსენებ, ამით საკუთარ თავს თავადვე აქცევ სამიზნედ.

**კობა ბენდელიანი**



**ჩვენი პრესდაიჯესტი**

### მიხეილ სააკაშვილი ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობას სამ თვეში მიანიჭებს

ბიძინა ივანიშვილი რუსეთის შემდეგ უარს ამბობს საფრანგეთის მოქალაქეობაზეც. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო დაელოდება, როდის მიანიჭებენ ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობას და შემდეგ ჩამოართმევენ საფრანგეთის მოქალაქეობას. ასე რომ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ზუსტად სამ თვეში ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა ნამდვილად ექნება, თუ მიხეილ სააკაშვილმა ამ პერიოდში რაიმე უცნაურობა არ მოიფიქრა და ქვეყნის კანონმდებლობა თავდაყირა არ დააყენა.

**„ახალი თაობა“.**

[illegible]

### „საქართველოს რკინიგზა“ - სულ უკან-უკან და დაბლა და დაბლა...

ყოფილი რკინიგზელები „საქართველოს რკინიგზის“ განვითარების დონეს საგანგაშოს უწოდებენ. გაზრდილმა შემოსავლებმა, როგორც წესი, სათანადო ასახვა უნდა ჰპოვოს მომუშავეთა ხელფასების ზრდაზე, საწარმოს განვითარებაზე და ა. შ. რკინიგზაზე კი რადიკალურად განსხვავებული სურათია.

**„რეზონანსი“.**

### ლუის ნავაროს მეორე არხის ფორმატში ცვლილებების შეტანას სთავაზობენ

„დემოკრატიული მოძრაობა“ NPI-ის გენერალურ დირექტორს ლუის ნავაროს „მეორე არხის“ ფორმატში ცვლილებების შეტანას სთავაზობს. „2011 წლის გამოცდილებისა და მომავალი არჩევნების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი იქნება გარკვეული ცვლილებები შევიტანოთ „მეორე არხის“ ფორმატში, რათა უფრო მიმზიდველი გახდეს იგი საზოგადოებისთვის. შესაძლო ცვლილებებთან დაკავშირებით სასურველია, მოეწყოს შეხვედრა-დისკუსია ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით“ — აცხადებს „დემოკრატიული მოძრაობა“.

**„ვერსია“**

ეკონომიკა

# როგორია წლევანდელი ეკონომიკური შედეგები და რა პერსპექტივებია სამერმისოდ?

(მეორე გვერდიდან) **„რეალურად გვაქვს მთელი კომპლექსი პრობლემებისა, რომელთა გადაწყვეტაზე დიდად არის დამოკიდებული ის, რომ საქართველო ბოლოს და ბოლოს გახდეს მიმზიდველი ქვეყანა ინვესტორებისთვის და ინვესტიციებმა ქვეყანაში შეძლოს ისეთი დიდი პრობლემების მოგვარება, როგორიც უმუშევრობაა“,** — დასძენს ექსპერტი ნოდარ ხადური.

ლადო პაპავა შეცდომად მიიჩნევს ტურიზმის იმ ვითარებაში ხელშეწყობას, როცა სოფლის მეურნეობა პრაქტიკულად უგულებელყოფილია. მისივე განმარტებით, თავისთავად ტურიზმი ცუდი სულაც არ არის, მაგრამ ვითარებაში, როცა ქვეყანაში საკვები პროდუქტის მიწოდება 80%-ით იმპორტზეა დამოკიდებული, ეს მარტო ტურიზმის განვითარების პირობებში პროდუქტებზე ფასს ზრდის. ექსპერტის მტკიცებით, სოფლის მეურნეობაში ვითარება კატასტროფულია. მაშინ, როცა ქვეყნის მოსახლეობის 57% სოფლად ცხოვრობს, მთლიანი შიგა პროდუქტის შექმნაში მათი წილი მხოლოდ 8%-ია.

მას რუსული კაპიტალის ჩართვა და მისთვის საქართველოს ენერგეტიკის სფეროში არეალის გაფართოება შეცდომად მიაჩნია.

**„მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ჩვენი მტერია, ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის, გასაკვირი და მოულოდნელიც კი იყო ის გარიგება, რომელიც შედგა 2011 წლის გაზაფხულის მიწურულს, როდესაც საქართველოს მთავრობამ ორი ჰიდროსადგური — ხრამჰესი-1 და ხრამჰესი-2 რუსულ ენერგოკომპანია „ინტერ-რაოს“ მიჰყიდა, ხოლო სამი ჰიდროსადგურის მშენებლობაზე გასცა ლიცენზია. პრაქტიკულად ელექტროენერგეტიკის დიდი ნაწილი რუსეთის ხელში გადადის, რაც საქართველოსთვის სასიკეთო არ არის“,** — დასძენს ლადო პაპავა.

### ლიბერალური გარემოს არსებობის მიუხედავად, რატომ არ უმჯობესდება ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა, არ იკლებს უმუშევართა რაოდენობა?

**ნოდარ ხადური — რეალურად გამოდის, რომ საქართველო მსოფლიოს უდიდეს ბაზრებზე ჯერჯერობით ვერ შედის.**

**ლადო პაპავა — საქმე ის არის, რომ ეკონომიკის განვითარებისთვის ლიბერალური გარემო ჩვენთან პიარის დონეზეა.**

ნოდარ ხადურის შეფასებით, ერთია შესაძლებლობები და მეორე — რეალობა. ბოლო წლებში მართლაც გვაქვს წინსვლა ბიზნესის დარეგისტრირებაში, მაგრამ მეორეა რეალობა, რომელიც ხშირ შემთხვევაში სცილდება ქაღალდზე დაწერილ ფაქტებს. პრობლემად რჩება ის, რომ მოხსნილი არ არის საგარეო საფრთხეები. ამ შემთხვევაში რუსეთის ფაქტორს ვგულისხმობ, რაც თავისთავად ცხადია, რომ ინვესტორებს აფრთხობს. **„საქართველოსთვის მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი რუსული ბაზარი პოლიტიკური მიზეზებით ჩვენთვის ჯერჯერობით დაკეტილია. პატარა ღრეჭოა დარჩენილი ევროკავშირის ბაზარზე შესასვლელად, ანუ რეალურად გამოდის, რომ მსოფლიოს უდიდეს ბაზრებზე ჩვენ ჯერჯერობით ვერ შევდივართ“,** — აღნიშნავს ნოდარ ხადური, რომლის აზრითაც ამ პრობლემების გადაჭრა უმნიშვნელოვანესია, რათა საქართველო ინვესტორებისთვის მიმზიდველი ქვეყანა გახდეს. მისივე თქმით, საუბარია როგორც უცხოელ, ისე ადგილობრივ ინვესტორებზე.

ლადო პაპავას შეფასებით, **„საქმე ის არის, რომ ეკონომიკის განვითარებისთვის ლიბერალური გარემო ჩვენთან პიარის დონეზეა“.** მისივე თქმით, დღეისათვის საქართველოში ახალი ბიზნესის დაწყება საკმაოდ გაადვილებულია და ეს მართლაც კარგია. სულ უფრო და უფრო მეტ სფეროში იჭრება ელექტრონული მთავრობა, ახლა შესაძლებელია არა მარტო ელექტრონულად ბიზნესის დაფიქსირება, არამედ გადასახადების გადახდა და ასევე სხვადასხვა ინფორმაციის მიღება ელექტრონულად, მაგრამ, იმავდროულად



გრძელდება მთავრობის მიერ ბიზნესში ჩარევა, ბიზნესის დაწიოკება, ქონების წართმევა, სხვადასხვა სამთავრობო ღონისძიებებისათვის არაფორმალური შენატანების განხორციელების იძულება. ეს არის ის მთავარი მიზეზები, რის გამოც ბიზნესი ქვეყანაში ისე არ ვითარდება, როგორც გვინდა.

### რას შეიძლება ნიშნავდეს საქართველოში რუსული ინვესტიციების სიმრავლე და რატომ არ მოდიან საქართველოში იგივე ამერიკელი ინვესტორები?

**ნოდარ ხადური — საქართველოში პოლიტიკური საფრთხეების არსებობის გამო ინვესტიციების ჩადებისგან ამერიკელი და ევროპელი ინვესტორები თავს იკავებენ.**

**ლადო პაპავა — პოლიტიკური თვალსაზრისით საქართველოში ვითარება სტაბილურად ვერ ჩაითვლება, რადგან ჩვენ ორი სერიოზული არჩევნების წინაშე ვდგავართ.**

ნოდარ ხადური ეკონომიკის სფეროში არსებულ პრობლემებს უკავშირებს იმას, რომ საქართველომ წელს ვერ დაიბრუნა საინვესტიციო მიმზიდველობა. მისივე განმარტებით,



2007 წელს უცხოური ინვესტიციები დაახლოებით 2 მილიარდი აშშ დოლარი იყო. 2010 წელს უცხოური ინვესტიციების ოდენობა თითქმის 800 მილიონი აშშ დოლარი დაფიქსირდა, ხოლო წელს, სამი კვარტალის მაჩვენებლებით 643 მილიონი დოლარია. მათ შორისაა ნიდერლანდების, დანიის, კვიპროსისა და რუსეთის ინვესტიციები. რუსულმა ბიზნესმა წელს საქართველოში სამ კვარტალში დაახლოებით 40 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა.

მისივე აზრით, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რომელი ქვეყნიდან მოხდა ინვესტიციის განხორციელება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ძალიან მაღალია რუსული სახელმწიფო ან კრემლთან დაახლოებული კაპიტალის წილი. ეს ეხება ძალიან ბევრ და მნიშვნელოვან სფეროს.

**„მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არ უყვართ სიტყვა „სტრატეგიული ობიექტის“ გამოყენება, საქართველოს ენერგეტიკულ, საფინანსო სფეროებში, ასევე კვებისა და გადამმუშავებელ მრეწველობაში, სამთომოპოვებით სფეროებში ძალიან მაღალია რუსული სახელმწიფოსა თუ სახელმწიფოსთან ახლო მდგომ ადამიანთა კაპიტალის წილი“,** — აღნიშნავს ექსპერტი. მისივე განმარტებით, ამავე დროს, საქართველოში პოლიტიკური საფრთხეების არსებობის გამო ინვესტიციების ჩადებაზე იგივე ამერიკელი და ევროპელი ინვესტორები თავს იკავებენ.

ლადო პაპავა — **„საინვესტიციო პოლიტიკის წარმატებულობა მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სტაბილურია ქვეყანაში ვითარება. პოლიტიკური თვალსაზრისით საქართველოში ვითარება სტაბილურად იმიტომ ვერ ჩაითვლება, რომ ჩვენ ორი სერიოზული არჩევნების ჩატარების წინაშე ვდგავართ“.**

ლადო პაპავას აზრით, ჩვენნაირი ტიპის ქვეყანაში არჩევნების მოახლოება სტაბილურობისთვის საფრთხედ მიიჩნევა, შესაბამისად, არც ჩვენ ვართ გამონაკლისი. მეორე მხრივ ჩვენ სტაბილურობა არა გვაქვს ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებში. მოგეხსენებათ, საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ. მოსკოვსა და თბილისს შორის დაძაბული ურთიერთობა ცუდი სიგნალია ინვესტორებისთვის. გარდა ამისა, ლადო პაპავა ქვეყანაში ინვესტიციების ნაკლებობას უკავშირებს იმას, რომ საქართველოში მაკროეკონომიკური სტაბილურობის პრობლემაა. წლის პირველ ნახევარში ოფიციალური სტატისტიკითაც საკმაოდ მაღალი იყო ინფლაცია. 6 თვის განმავლობაში ინფლაცია ორნიშნა, თითქმის 15%-ი იყო.

### რამდენად კვალიფიციურად დაიგეგმა ბიუჯეტი?

**ნოდარ ხადური — თბილისისა და ქვეყნის ბიუჯეტს აშკარად ეტყობა, რომ საქართველოში საარჩევნო ციკლი დაწყებულია.**

**ლადო პაპავა — 2012 წლის ბიუჯეტში „სხვა ხარჯები“ მთელი ხარჯების 16%-ზე მეტია, რაც 1 მლრდ ლარზე მეტ თანხას შეადგენს.**

**„თბილისისა და ქვეყნის ბიუჯეტს აშკარად ეტყობა, რომ საქართველოში საარჩევნო ციკლი დაწყებულია“,** — აცხადებს ნოდარ ხადური, რომლის აზრითაც, ეს ნიშნავს, რომ 2012 წელს გაიზრდება სოციალური და ისეთი ტიპის ხარჯები, რომლებიც მოსახლეობისთვის თვალშისაცემი იქნება. ინფრასტრუქტურული პროექტები ნამდვილად მისასალმებელია, მაგრამ ამავე დროს, დაწყებულია უფრო მეტი თანხების გადატანა პიარ-აქტივობებისაკენ და არა — რეალური ეკონომიკური პრობლემების მოგვარებისკენ.

**„ხელისუფლებამ სოციალური პრობლემების მოგვარება რატომღაც შემოდგომისთვის, ზუსტად საარჩევნო პერიოდისთვის გადაიტანა, ვგულისხმობ, სექტემბრიდან პენსიების მომატებას, რაც სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ბიუჯეტი სწორედ საარჩევნოდა შედგენილი“,-** შენიშნავს ექსპერტი. მისვე აზრით, 2012 წლის ბიუჯეტში ჩანს არა იმის სურვილი, რომ ბიუჯეტის დეფიციტი მინიმუმამდე იყოს შემცირებული, რომ ქვეყანამ ბოლოს და ბოლოს დაიწყოს შემოსავლების მიხედვით ცხოვრება, არამედ აშკარაა, ბიუჯეტი გათვლილია იმაზე, რომ ამით ვიღაცამ პოლიტიკური და არა მარტო პოლიტიკური დივიდენდები მიიღოს.

ლადო პაპავა წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ე.წ. სხვა ხარჯები საბიუჯეტო ხარჯების 5%-ს აღემატება. მისივე თქმით, ბიუჯეტის დაგეგმვაში ეს ახალი არ არის, ვინაიდან ბოლო წლების ბიუჯეტები სულ ასე მიიღებოდა. ამგვარი „სხვა ხარჯები“ ყოველთვის ბადებს პასუხგაუცემელ კითხვებს — რატომ არ არის გაშიფრული და გაწერილი ბიუჯეტში ხარჯები ჯეროვნად და სრული სიზუსტით? შესაძლოა, ბიუჯეტში იყოს გაუშიფრავი ე.წ. სხვა ხარჯები, მაგრამ ისინი, როგორც წესი, 5%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

**„2012 წლის ბიუჯეტში „სხვა ხარჯები“ მთელი ხარჯების 16%-ზე მატია, რაც 1 მლრდ ლარზე მეტ თანხას შეადგენს“,**— აღნიშნავს ექსპერტი.

### თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული ეკონომიკის სფეროში 5 უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღება, რა გადაწყვეტილებებს მიიღებდით?

**ნოდარ ხადური — მთელ რესურსს მივმართავდი ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებაზე.**

**ლადო პაპავა — რაც შეიძლება დაჩქარებული ტემპით უნდა მივაღწიოთ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმს, რაც პრაქტიკულად საქართველოს ეკონომიკური სივრცის ევროკავშირის ეკონომიკურ სივრცეში მოქცევას ნიშნავს.**

ნოდარ ხადური: — პირველი, ალბათ მთელ რესურს მივმართავდი ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებაზე; მეორე — ხელს არ შევუშლიდი და პირიქით, ხელს შევუწყობდი ჩვენს ბიზნესს, რომ



თავისუფლად გაიდეს რუსულ ბაზარზე; მესამე — ხელს შევუწყობდი სოფლის მეურნეობისა და სოფლის კომპლექსურად განვითარებას და არა რომელიმე ერთი დარგისა და ერთი მიმართულების განვითარებას; მეოთხე — ვიზრუნებდი იმისათვის, რომ ქვეყანა მართლაც გახდეს ინვესტორებისთვის მიმზიდველი და ამ თვალსაზრისით თავი დაანებოს ქონებრივი და სხვა უფლებების დარღვევას.

**„ჩვენ, ევროპასთან ურთიერთობის ერთი ეტაპი გადავლახეთ. ევროპამ დაიწყო ჩვენთან საუბარი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობაზე, თუმცა უნდა ვაღიაროთ და ვთქვათ, რომ ეს ჯერჯერობით არ არის რეალური ნაბიჯები, რომლებსაც შეუძლია, საქართველო ევროპამდე მიიყვანოს. ჩვენ დღეს ისევ ეს პრობლემა გვაქვს. საქართველოსათვის ევროპასთან დაახლოება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“,** — დასძენს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში ნოდარ ხადური.

ლადო პაპავას განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ გამოაქვეყნა 10- პუნქტიანი გეგმა, მაგრამ მასში ჩამოაყალიბა არა უმთავრესი მიმართულებები, რაზეც მთავრობამ უნდა იმუშაოს. მთავრობის 10-პუნქტიან გეგმაში ცალკე არ არის გამოყოფილი ყველაზე მთავარი — ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევა. ამ თვალსაზრისით, ამ გეგმის ერთ-ერთი სერიოზული ნაკლი სწორედ ეს გახლავთ. **„საქართველოსთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება დაჩქარებული ტემპით მივაღწიოთ ევროკავშირთან ეკონომიკურ და არა მარტო ეკონომიკურ დაახლოებას, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევას. თავისუფალი ვაჭრობა ნიშნავს პრაქტიკულად საქართველოს ეკონომიკური სივრცის ევროკავშირის ეკონომიკურ სივრცეში მოქცევას ნიშნავს“,** — აღნიშნავს ლადო პაპავა, რომლის თქმითაც, ეს საკითხი პრიორიტეტული უნდა იყოს და, შესაბამისად, მთავრობის მთელი ძალისხმევაც აქეთკენ უნდა იყოს მიმართული.

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას — ბრიუსელმა მიაღწია იმას, რომ საქართველოს მთავრობამ გამოაჩინა კონსტრუქციულობის ელემენტები და ახლა დაიწყება ამ თემაზე მოლაპარაკებების პროცესი. თუმცა, მე არ მაქვს იმის განცდა, რომ ეს მთავრობა იჩქარებს რაიმე დადებითი შედეგის დადებას. მისივე თქმით, არანაკლებ მნიშვნელოვანია 2009 წლის იანვარში აშშ-სა და საქართველოს შორის ხელმოწერილი ქარტიის ფარგლებში აშშ-სა საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მინიჭების შესახებ შეთანხმების მიღწევას.

**„ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საკითხში კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას. სულ ცოტა, ის მაინც უნდა ვიცოდეთ, რას ითხოვს ვაშინგტონი საქართველოსგან მასთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად. აშკარაა, რომ ამ კუთხით საქართველოს მთავრობა, სამწუხაროდ, პასიურობს“,** — დასძენს ლადო პაპავა.

მისივე აზრით, დღის წესრიგის ასევე აქტუალური თემაა საბანკო სექტორის სერიოზული რეორგანიზაციის საკითხი. უნდა შეწყდეს პოლიტიკური მოტივებით ჩარევა საბანკო სექტორში, ხოლო ეროვნული ბანკი უნდა ასრულებდეს პროფესიულ ფუნქციებს, მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით და არა — სადამსჯელო პოლიციურ აქციებს. ეროვნული ბანკი არ უნდა ჩამოყალიბდეს საბანკო ჟანდარმერიის ინსტიტუტად და დარჩეს საბანკო სისტემის მარეგულირებელ ცენტრალურ ბანკად.

ლადო პაპავა ასევე აუცილებლად მიიჩნევს შრომითი ურთიერთობების მოწესრიგებას, რისთვისაც თვისობრივად ახალი შრომის კანონმდებლობაა მისაღები, რომლითაც თითოეული დასაქმებული იქნება დაცული.

**„საჭიროა სერიოზული აგრარული პოლიტიკის შემუშავება, აგრარული სექტორის განვითარებისთვის მისი სტიმულირება. ისეთი კლიმატური პირობების ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, სირცხვილიც კია, რომ სოფლის მეურნეობა თანამედროვე დონეზე არ იყოს განვითარებული. ეკონომიკაში შარშანდელ პრობლემათა სიმრავლე იმაზე მიუთითებს, რომ 2011 წელს მთავრობამ სწორი მიმართულებით ვერ იმუშავა“,** — მიაჩნია ექსპერტ ლადო პაპავას.

## მოსაზრება

# საქართველო, 2012 წელი – ომი თუ მშვიდობა?! მშვიდობა... მშვიდობა...

**გლობალიზაციის ეპოქაში, საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ქვეყნის სუვერენიტეტის, უსაფრთხოების და ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, საჭიროა კომპრომისული და დაბალანსებული პოლიტიკური კურსის გატარება, რომელსაც საერთაშორისო თანამეგობრობა დაუჭერს მხარს!**

ჩვენი დიდი წინაპრები ყოველთვის გამოირჩეოდნენ სიმამაცით, სიმტკიცით, მაგრამ არასოდეს კარგავდნენ სიფრთხილისა და შორსჭვრეტის უნარს! საქართველო მდებარეობს აზია-ევროპის საზღვარზე, ქრისტიანული და ისლამური ცივილიზაციების გზაგასაყარზე, ბირთვული ზესახელმწიფოს რუსეთის მეზობლად, რომელთანაც სახელმწიფო საზღვარი რამდენიმე ასეული კმ-ია. სარწმუნოებრივი განსხვავების მიუხედავად, ჩვენი გმირი წინაპრების დამსახურების წყალობით, მუსლიმები (არაბები, სპარსელები, ავღანელები და სხვ.) პატივს გვცემენ, მათთვის „გურჯი“ კეთილშობილების და ვაჟკაცობის სინონიმია! მიზანშეუწონლად მიმაჩნია ქართველი სამხედროების გაგზავნა ისლამურ ქვეყნებში, გვეყო მამლუქობა! ჩვენ ხომ ვერ ვპატიობთ ჩრდილოკავკასიელებს აფხაზეთში შემოვარდნას, მაშ რატომ ჩავდივართ იგივეს სხვების მიმართ? ქართველებს, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ისლამური სამყარო ძალიან ახლოსაა, ყურისძირში!

რუსეთთან და რუს ხალხთან 200-წლიანი ურთიერთობა გვაკავშირებს. ურთიერთობა ჩვენს შორის კატასტროფულად გაფუჭდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის ტრაგედიების შემდეგ, როცა რუსეთმა მკვეთრად უარყოფითი როლი ითამაშა და სეპარატისტებს დაუჭირა მხარი, შემდეგ კი, მათი „დამოუკიდებლობა აღიარა“! რუსეთის საკითხი „აქილევსის ქუსლია“ ქართული პოლიტიკისთვის, აუცილებლად უნდა მოვახერხოთ ამ რუსულ-ქართული ჩიხიდან გამოსვლა ურთიერთ კომპრომისების საფუძველზე! ვინც კი ცდილობს, ამერიკულ-რუსულ დაპირისპირებაზე პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებას, მას ქართულ პოლიტიკაში მომავალი არა აქვს. „სირაქლემას პოზას“ მაგონებს ზოგიერთი პოლიტიკოსის განცხადება იმის შესახებ, რომ ქართველები უნდა შევეგუოთ რუსეთს, როგორც ცივსა და ავ მეზობელს. ეს იმას ნიშნავს, რომ ვერ გავამთლიანებთ ქვეყანას და ვერ უზრუნველვყოფთ მის უსაფრთხოებას! ის ძალები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ საქართველო და რუსეთი ისტორიულ მტრებად მოეკიდონ ერთმანეთს, საბედისწერო თამაშს თამაშობენ! ზოგიერთ „გამჭრიახ“ პოლიტიკოსს თუ პოლიტოლოგს მიაჩნია, რომ რუსეთი მალე დაიშლება და ოკუპირებული ტერიტორიების საკითხიც ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდება. დავუშვათ, რომ ასეც მოხდა, მოგეხსენებათ, რომ ჩრდილო-კავკასიელები ისლამს აღიარებენ და თურქეთზე არიან ორიენტირებულნი. თუ რუსები მთლიანად გავლენ კავკასიიდან, ვის მხარეს დაიჭერს ნატოს წევრი თურქეთი, – მუსლიმი ძმების, თუ მართლმადიდებელი ქართველების? ევროპელები ნატოს წევრი საბერძნეთის ინტერესებს უგულებელყოფენ და საქართველოსას გაითვალისწინებენ? კვიპროსზეც, ისე როგორც კოსოვოში, მართლმადიდებელი ბერძნების და სერბების ეროვნული ინტერესები ილახება! როგორ გგონიათ, კათოლიკურ-პროტესტანტული ევროპა თავისი უსაფრთხოების საზიანოდ, მართლმადიდებელი საქართველოს ინტერესებს დააყენებს წინ, თუ ევროპის მძლავრი მოკავშირის თურქეთის?! ისრაელ-ირანის ომის შემთხვევაში, ჩვენ ფრთხილად უნდა ვიყოთ, ვინმეს მიხმარება ჩვენი საქმე არ არის, შეიძლება „ძალიან ძვირად დაგვიჯდეს“! დიდი ალბათობაა, რომ რუსეთმა მოინდომოს და პირდაპირ გადაჭრას ჩვენი ტერიტორია, თავისი სტრატეგიული მოკავშირის სომხეთის დასაცავად, რომელიც ირანის მეზობელია. აქვე, შეიძლება გაჩნდეს საფრთხე მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის განახლებისა სომხეთ-აზერბაიჯანს შორის! რაც შეეხება ამერიკელებს, ისინი „იმაზე მეტს ვერ გააკეთებენ, რაც გააკეთეს“ – 2008 წლის აგვისტოში – და თავს ნუ მოვიტყუებთ! ირანი კი, თუ დაინახა, რომ „იღუპება“, თავის ბალისტიკურ რაკეტებს (საშუალო რადიუსის,1000-1500 კმ-მდე), რომლებსაც ქართველებისთვის ტრაგიკული სახელი ქვია, – „შაჰაბ-3“ და „შაჰაბ-4“ – ყველა მიმართულებით გაისვრის, სადაც ამერიკული სარაკეტო დანადგარები და ავიაცია, ან თუნდაც ლოჯისტიკური სამსახურები იქნება განლაგებული! ასე რომ, „ჭკუით ქართველებო“, ყველა ამ საომარი მოქმედებების მიმართ, საქართველომ ნეიტრალური პოზიცია უნდა დაიკავოს! სააკაშვილი ყველა აეროდრომს დაუთმობს ამერიკელებს და სამიზნე გავხდებით, თანაც იმ პირობებში, როცა თავდაცვითი რაკეტსაწინააღმდეგო შეიარაღება არ გვაქვს! გინდაც გვქონდეს, ვინ მოგვცემს გარანტიას, რომ ერთი „შაჰაბი“ თბილისს არ დაეცემა, მეორე კი, ქუთაისს?! სარკოზიმ თბილისში ახსენა დე გოლი და ადენაუერი (რუსეთთან დიალოგის აუცილებლობა), მართალია, რომ „არც მიშა და არც პუტინი არ არიან, არც ერთი და არც მეორე“, მაგრამ მან გასაგებად გვითხრა (ჩათვალეთ, რომ ევროპამ), რომ, თუ გავაგრძელებთ „ერთი ადგილის თამაშს“ რუსეთთან, – ჩვენი „იმედი არ გქონდეთო“! მოდი და ნუ დაუჯერებ, დავრჩებით, „ჩრდილოეთის და სამხრეთის ხახაში“! ხომ გაგიგონიათ, – „ცხენის წინ მორბენალ კვიცს ან მგელი შეჭამს ან მგლისფერი „ძაღლიო“! ჩვენ 20 წელია ვერ შევიმუშავეთ ისეთი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრატეგია, რომელიც შეესაბამება ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს! ამის გამო, ყველა „ქვა და კენჭი მოგვხვდა თავში“! ჯერ იყო და ცნობილმა დისიდენტმა, რომელმაც „სსრკ დაშალა“, სამოქალაქო ომი ვერ ააცილა ქვეყანას! მერე იყო და, „დიდმა პოლიტიკოსმა“, რომელმაც ასევე „სსრკ დაშალა“, გადაწყვიტა, დასავლეთი „ძველ ზასლუგებს“ არ დამიკარგავსო და „ორშაბათის რადიო ინტერვიუებით“ მართავდა ქვეყანას! ბოლოს, ეს „მზეჭაბუკი ვარდით ხელში“ მოვიდა და განაცხადა, მარატი და ჩე გევარა ვინ არიანო, მე ვარ, „უპირველესი რევოლუციონერიო“! ყოველივე ამის შემდეგ რაიმე პოზიტიური გინდათ დაინახოთ? „არც იოცნებოთ“! თუმცა არა, „ქართული ოცნების“ დრო დგება! მანამდე კი, ფრთხილად ვიყოთ, ვინაიდან, შინ ჯერ კიდევ „მფრინავი მიშა“ გვმართავს, ხოლო ჩრდილოეთით და სამხრეთით (რუსეთი, ირანი) – პოტენციური „ღილაკის დამჭერნი“ გვიყურებენ, როგორ მოვიქცევით!



დღეს, როცა ბიძინა ივანიშვილის სახით სააკაშვილს გამოუჩნდა დიდი საფრთხე, ამერიკული სარაკეტო სისტემების საქართველოში განთავსება მიშასთვის იქნება ყველაზე დიდი ბედნიერება, რადგან ეს იქნება მისთვის გადარჩენისა და „ნაციონალებისთვის“ ხელისუფლების შენარჩუნების შანსი!. თურქეთში ნატოს რადარების დამონტაჟების გადაწყვეტილებამ, რუსეთის და ირანის ხელისუფლებათა უკმაყოფილება გამოიწვია. ამიტომ ვამბობ, რომ მოვლენების ასეთი განვითარება გამოიწვევს ჩვენი ქვეყნის საბოლოო გაყოფას, მის ქცევას რუსეთის (აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი) და ამერიკის (დანარჩენი საქართველო) სამხედრო ბაზებად! იმედია, ყველაფერი ჩადგება ნორმაში, როცა მიშას გავუშვებთ, მაგრამ, მანამდე „არ მოასწროს“ მაკკეინის და სხვა „ძორების“ დახმარებით რაიმეს გაფუჭება!.. არ ვიცი სხვებს როგორ, მაგრამ მე ვშიშობ (რასაც ვადევნებ თვალს და „რაც არ ჩანს“!), რომ ამერიკელი მეგობრების ზეწოლით, პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციაზე, სააკაშვილს „კიდევ ერთხელ გაუპრავებენ“ გაყალბებულ არჩევნებს, იმიტომ, რომ მის „მსგავსს“, – რომელიც მთლიანად აკმაყოფილებს მათ ინტერესებს, საქართველოში ვერ ნახავენ!. ღმერთმა არა ქნას! რაც შეეხება, ქართველი ერს და ბიძინა ივანიშვილს, მათ ამერიკელებთან – სამართლიანობის დაცვა და მეგობრობა სურთ! არჩევანი ვაშინგტონზეა!. აქედან გამომდინარე, 2012 წელს დიდი საარჩევნო ბრძოლა მოგვიწევს ქართველებს, მთავარია, ნაადრევად გამარჯვების ეიფორიაში ნუ ჩავვარდებით!.

**ჯუმბერ კირვალიძე,**
პოლიტოლოგი

## კანონმდებლები

# „სიყვარული“, რომელიც სოციალური პროექტებისთვის თანხებს ამცირებს

**2010 წლიდან ქვეყნის თითქმის ყველა რაიონის ბიუჯეტი პოლიციის ადგილობრივ ორგანოებს აფინანსებს. რაიონებში მოქმედ განყოფილებებს შინაგან საქმეთა სამინისტროც აფინანსებს. მიუხედავად ამისა, ქვეყნის უღარიბესი რაიონებიც კი საკუთარ ბიუჯეტს მათ უნაწილებენ.**

პრესაგე.ტვ გაეცნო რუსთავის, გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს და დმანისის 2012 წლის ბიუჯეტს. ჩამოთვლილი მუნიციპალიტეტებიდან პოლიციას ყველა სხვადასხვა თანხით აფინანსებს.

ადგილობრივი პოლიციისადმი მზრუნველობაში ვერავინ შეედრება გარდაბნის რაიონს. ადნიშნული მუნიციპალიტეტის საკრებულო 2012 წლის ბიუჯეტის თანახმად, მომავალ წელს შსს ადგილობრივ ორგანოებს 442 000 ლარით დააფინანსებს. თანხა დაშლილი სახითაც აქვთ წარმოდგენილი: „226 900 – ოფისის ხარჯები; 210 000 – ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაცია და მოვლა-შენახვა; 5 000 – სხვა ხარჯები“ – ვკითხულობთ გარდაბნის ბიუჯეტში.



გარდაბანზე გაცილებით ნაკლებად ადგილობრივ პოლიციას მუშაობს რუსთავის საკრებულო უფასებს. 2012 წელს ბიუჯეტში მათ პოლიციისთვის 160 000 ლარი აქვთ გათვალისწინებული. ქვემო ქართლის ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებადშემოსავლიანი, თეთრიწყაროს რაიონი, პოლიციას 40 000 ლარს ურიცხავს. დმანისის რაიონის 2012 წლის ბიუჯეტის თანახმად, ადგილობრივი პოლიცია 85 000 ლარით ფინანსდება.

სიძუნწეს იჩენს მარნეულის რაიონი. მიუხედავად იმისა, რომ მარნეულის რაიონის ბიუჯეტი თითქმით ორი მილიონით აღემატება გარდაბნისას, ადგილობრივი პოლიციისთვის გარდაბანზე გაცილებით ნაკლებს იმეტებს. მარნეულის ბიუჯეტი პოლიციის ადგილობრივ სამსახურებს 200 000 ლარს ურიცხავს.

შესაბამისად, ქვემო ქართლის რაიონებს შორის ადგილობრივ პოლიციაზე ზრუნვის კუთხით გარდაბანი ლიდერობს. მიუხედავად იმისა, რომ სხვებზე ნაკლები, 9-მილიონიანი ბიუჯეტი აქვს, იგი მერაბიშვილის უწყებას 442 000 ლარს უთმობს.

ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადახდილი თანხები, ალბათ მიზერია იმასთან შედარებით, რასაც ეს უწყება ქვეყნის ბიუჯეტიდან იღებს. 2012 წლის ბიუჯეტის ასიგნებების მე-15 მუხლში, შინაგან საქმეთა სამინისტროს გვერდით ცხრანიშნა ციფრი – 585 200 000 წერია. ალბათ, ამ სოლიდურ ციფრში სამართალდამცავთა პრემიების საკითხიც მოგვარებულია.

„საქართველოში განხორციელებული წარმატებული რეფორმების წინაპირობა სწორედ რომ პოლიციის რეფორმა იყო. რევოლუციამდელი პოლიცია ხალხს აწამებდა, დღეს ჩვენი პოლიცია ხალხს ეკუთვნის, მას ხალხი სიყვარულით უპასუხებს“ – ასეთი განცხადება გააკეთა პრეზიდენტმა პოლიციის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე.

რაიონების ბიუჯეტების მიხედვით, უკვე შეგვიძლია ვისაუბროთ კონკრეტულ ციფრებში ასახულ „სიყვარულზე“. ასეთი სიყვარული კი საბოლოოდ, თანხებს რაიონების სოციალური პროექტებისთვის ამცირებს.

**მანონ ბოკუჩავა,**
ქვემო ქართლი

## ინფორმაცია

### საახალწლო ნობათი არასრულწლოვან მსჯავრდებულებს

**სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი ხათუნა კალმახელიძე საახალწლო ნობათით არასრულწლოვანთა დაწესებულებას ესტუმრა .**

**სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ცნობით, მინისტრმა მსჯავრდებულებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა და ნობათი გადასცა.**

**ხათუნა კალმახელიძესთან ერთად, არასრულწლოვან მსჯავრდებულებს 2012 წელი ახალი ქართული ფილმის „სიყვარულის ბალადა“ მსახიობებმა მიულოცეს და მათთან ერთად ფილმს უყურეს.**

ინტერპრესი

# „არავინ ჩემს გარდა!“

**ხელისუფლების მიერ შემუშავებული ახალი საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ახალი რეგულაციების დაწესებას ითვალისწინებს, ორი მოსმენით უკვე მიღებულია და, სავარაუდოდ, წლის ბოლომდე საბოლოოდ დამტკიცდება.**

ამ ინიციატივების გაჟღერებას ექსპერტების საკმაოდ კრიტიკული შენიშვნები მოჰყვა, რადგან ამ წესების დანერგვა კიდევ უფრო ზრდის იმ ფინანსურ დისბალანსს, რაც სახელისუფლებო და ოპოზიციურ პარტიებს შორის ბოლო 8 წელია, არსებობს, აწესებს ან ზრდის იურიდიულ პასუხისმგებლობას საარჩევნო დარღვევებზე, თან ისეთი ბუნდოვანი ფორმით, რაც სასამართლოს (და რეალობაში – პროკურატურასძ ორმაგი ინტერპრეტაციისა და კანონის მთელი სიმკაცრის მხოლოდ ხელისუფლების მოწინააღდეგეების მიმართ გამოყენების საშუალებას აძლევს, და რეალურად დაფინანსების გარეშე ტოვებს არასამთავრობო ორგანიზაციებს.

მაგრამ მე უფრო შორს წავიდოდი და ასე ვიტყვი, ამ საკანონმდებლო ინიციატივებით მიხეილ სააკაშვილმა და მისმა მმართველმა ჯგუფმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ისინი ძალიან შორს არიან იმისგან, რასაც დემოკრატია ჰქვია და უკვე გადაკვეთეს უკანდაბრუნების ის წერტილი, რაც ერთპარტიულ დიქტატურად იწოდება. ის, რომ ამ დიქტატურაში მათ ფასადს შეულამაზებენ სხვადასხვა ჯიშის (უჯიშო!ძ სატელიტური ჯიბის პარტიები, საქმის არსს არ ცვლის.

**საქართველოს დღევანდელი ვაი-ხელისუფლების modus vivendi ცნობილია: „მე! მხოლოდ მე! და ყოველთვის მხოლოდ მე! არავინ ჩემს გარდა! არაფერი ჩემს გარდა! და არასოდეს ჩემს გარდა!“**

მიხეილ სააკაშვილი ამ საკანონმდებლო ცვლილებებით (რეალურად კი კანონმდებლობის პრინციპების ცინიკური ჭრა-კერვით საკუთარ ტანზე და სურვილებზე მოსარგებადძ ეუბნება მთელ მსოფლიოს: „აქა ვზივარ და თუ სადმე გადავჯდები, მხოლოდ იქ, სადაც კიდევ უფრო მეტი უფლებები მექნება მე, და არავითარი უფლებები – იმათ, ვინც მე ხელზე არ მეამბორება.

განვიხილოთ ეს საკანონმდებლო ცვლილებები:

კანონპროექტის თანახმად, იურიდიულ პირებს პოლიტიკური პარტიის დაფინანსება აეკრძალებათ.

ხოლო ფიზიკურ პირს წელიწადში საერთო ჯამში მაქსიმუმ 60 ათასი ლარის მიცემის უფლება ექნება.

მხოლოდ ბანკებს შეეძლებათ პარტიებისთვის სესხის გაცემა 100 ათასი ლარის ლიმიტის ფარგლებში.

თუ ეს ყველაფერი სადმე ფინეთში, ან ჩეხეთში მოხდებოდა, ამას შეიძლება დიდად არ შეეცვალა პოლიტიკურ ძალთა წონასწორობა. თუ რინგზე ორივე მოწინააღმდეგე ხელთათმანებს იცვამს, ეს ცუდი არაა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეფერი ამ ხელთათმანებს წინასწარ ამოწმებს, რადგან შეიძლება ერთ მათგანს შიგ კასტეტი ჰქონდეს ჩაკერებული. ჩვენთან კი ხომ გვახსოვს, ვინ არის კასტეტის დიდი მოყვარული?! და იმაში ეჭვი გეპარებათ, რომ საქართველოში „რეფერი“ (სასამართლო/პროკურატურა/პოლიცია/სახელისუფლებო მედიაძ თავად დაიწყებს ხელისუფლების ხელთათმანში კასტეტის დროულად ჩაკერებას?

**ქვეყანაში, სადაც პროკურატურამ ერთი წლის განმავლობაში საპროცესო გარიგებების მეშვეობით 112 მილიონი ლარი ამოიღო და სადაც რამდენიმე ათეული ათასი პრობაციონერია, ვინმეს ეჭვი უნდა ეპარებოდეს, რომელ პარტიას დააფინანსებენ შედარებით შეძლებული ფიზიკური პირები, რომელთაც მალე ათასი მოგონილი საბაბით პროკურატურაში დაიბარებენ?**

ქვეყანაში, სადაც ცნობილი პროფესორი და პატიოსანი ადამიანი, ბიზნესმენი ომარ ქუცნაშვილი ხელისუფლებამ რამდენიმე წლით ციხეში მხოლოდ იმიტომ გამოკეტა, რომ მან გაბედა და წინასაარჩევნო სამთავრობო რეკეტის დამორჩილებაზე უარი განაცხადა, ვინმეს – ადამიანის უფლებათა ევროპულ (სტრასბურგისძ სასამართლოს, Human Rights Watch-ს, Freedom House-ს, Transparency International-ს, USAID-ს, Millenium Challenge Corportation-ს, ამერიკელ თუ ევროპელ დიპლომატებს, დაბოლოს – ვენეციის კომისიის შეშფოთებულ წევრებს – ეჭვი ეპარებათ, რომ საქართველოს მოქალაქეთა დიდ ნაწილს გაუჭირდება წინ აღუდგეს მოძალადე მმართველი პარტიის და მისი მოძალადე ძალოვანი სტრუქტურების მოთხოვნას საარჩევნო ხარკის გადახდაზე?

და იმ ქვეყანაში, სადაც გატყავებული და მთლიანად ხელისუფლებიდან „დაკრიშული“ ბიზნესი ბოლო წლების განმავლობაში 100%-ით მხოლოდ სახელისუფლებო პარტიას – ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და მის სატელიტ ჯიბის პარტიებს აფინანსებს, ვინმეს ეჭვი შეაქვს, ვის მისცემენ ბანკები სესხს?

**ჩემი დასკვნა – დღეს საქართველოში იურიდიული პირებისათვის პოლიტიკური საქმიანობის სრულ აკრძალვას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს – ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული ფინანსური ორგანიზაციების თამაშგარე მდგომარეობაში დატოვება, რათა ახალმა ოპოზიციურმა ძალამ ლეგალური ფინანსები ვერ მოიპოვოს. სამაგიეროდ, ნაცმოძრაობის დამფინანსებელი ყველა ორგანიზაციის ხელმძღვანელს უკვე ჩამოართვეს პირობა (მამა უცხონდათ და რას გაბედავდნენ), რომ ისინი, ახლა უკვე როგორც ფიზიკური პირები, დააფინანსებენ მმართველ პარტიას და (ზოგ შემთხვევაში) – მის სატელიტებსაც.**

კანონპროექტით გათვალისწინებული ახალი შეზღუდვებით, რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ რომ მოამზადოს რაღაც დასკვნა და ეს დასკვნა პოლიტიკურმა პარტიამ გამოიყენოს, ამ არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართ იგივე შეზღუდვები გავრცელდება, რაც პოლიტიკური პარტიის მიმართ წესდება.

ანუ, რაიმე საკითხზე მომზადებული დასკვნის რომელიმე ოპოზიციური პარტიის მიერ „გამოყენების ფაქტის“ დადასტურების შემთხვევაში, ასეთ არასამთავრობო ორგანიზაციებს ვეღარ დააფინანსებენ იურიდიული პირები, ისინი ვეღარ აიღებენ გრანტებს საერთაშორისო ორგანიზაციებისგან!! ეს მუხლი პირდაპირ კავშირშია იმასთან, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა არ გაბედონ და არ დადონ დამოუკიდებელი სოციოლოგიური კვლევების შედეგები, სადაც მმართველ პარტიას არ ექნება აბსოლუტური ლიდერის და ერის სათაყვანებელი პარტიის სტატუსი!

ასევე, ეს შეზღუდვები გავრცელდება ყველა იმ პირის მიმართ, რომელიც რომელიმე პოლიტიკოსთან ან – პოლიტიკოსის ოჯახის წევრთანაც კი, რაიმე ფორმით არის დაკავშირებული. რაც მთავარია, ეს მუხლები იმდენად ბუნდოვანია, რომ ხელისუფლებას ორმაგი ინტერპრეტირების საშუალებას აძლევს.

**რას ნიშნავს „რაიმე ფორმით არის კავშირში პოლიტიკოსის ოჯახის წევრთან“? თუ მაგალითად პირი არის მშობელი, რომლის ბავშვი თინა ხიდაშელის ბავშვთან ერთად სკოლაში სწავლობს, ამ მშობელს რაიმე ფორმით უკვე კავშირი აქვს პოლიტიკოსის ოჯახის წევრთან? და თუ ამ პირმა რაიმე პოლიტიკური ხასიათის სტატია ან კვლევა გამოაქვეყნა, მას შეიძლება არასამთავრობო ორგანიზაციის წევრობაზე უარის თქმა მოუწიოს? მაგრამ იგივე, რა თქმა უნდა, არაფრით მოხდება, თუ თამარა ჩერგოლეიშვილის „ტაბულა“ რომელიმე არასამთავრობო გრანტს აიღებს! მაშინ ვის გაახსენდება, რომ ქალბატონი თამარა „გარკვეული ფორმით კავშირშია“ გარკვეულ პოლიტიკოსებთან და თავად არის “გარკვეული პოლიტიკოსის“ თანამეცხედრე?! და ისე, ვინ ჩაითვლება „ოჯახის წევრად“? (აკო მინაშვილის სუპერაქტიური სიდედრი, ალბათ, არა!)**

აღნიშნული ცვლილებები, რომლებიც (დავანებოთ თავი იმ სამიოდე საკმაოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქართველ პარლამენტარს, ვისაც იმაზე მეტი საკანონმდებლო ინიციატივა დაუგროვდათ, ვიდრე ფრანკლინი, ჯეფერსონი, რობესპიერი და მარატი ერთად ინატრებდნენძ რეალობაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს რუხი კარდინლის და მისი თანამშრომლების უძილო ღამეების შედეგია (ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის დღიდან იუსტიციის სამინისტრო მუშაობის 24-საათიან რეჟიმზეა გადასულიძ, ჩემი აზრით, მხოლოდ ერთ რამეს ემსახურება: – ხელისუფლებამ საბოლოოდ მოაშთოს NGO-ების ის ერთადერთი სექტორი, რომელსაც, დიდი სურვილისა და ათობით პროსამთავრობო „არასამთავრობოების“ წარმატებული ინკუბაციის მიუხედავად, ვერ აკონტროლებს. განსაკუთრებით კი, – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „ღია საზოგადოება საქართველოს ფონდი“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „ჰუმან რაითსის“ და გაეროს საქართველოს ოფისები და მათთან მოთანამშრომლე ენჯეოები, სამოქალაქო კვლევების ცენტრი, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, ასევე ის ახალი ორგანიზაციები და საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრები, რაც შეიძლებოდა აღმოცენებულიყო არჩევნების წინ. რომ დააშინოს და უხელფასობის, უმუშევრობის, უიმედობის განცდა შეუქმნას ყველა იმ ორგანიზაციას და ადამიანს, ვინც ხელისუფლების ფეხისნაბანი წყლით არ აპირებს სახის დაბანას. სწორედ ამას ემსახურება რეალურად ეს ინიციატივები, თორემ გიგი უგულავას და დავით კირკიტაძის ძმაკაც კოკი იონათამიშვილის მიერ გამოჩეკილ „ახალი თაობა – ახალ ინიციატივას“ და ალიკა რონდელის ენეჯეოს რომ არავინ დაუთვლის ნაციონალური პოლიტიკოსებისთვის მიწოდებული დასკვნების სიმრავლეს, ან რომ ლევან თარხნიშვილის მეუღლის ხელიხელსაგოგმანები „ბი-სი-ჯი“, და ან სააკაშვილის ყოვლადწმინდა Greenberg-Queenlan-Rossner არ მოჰყვებიან სახელისუფლებო ინკვიზიციის ბრჭყალებში, ეს ვინმეს ეეჭვება? შეიძლება ვენეციის კომისიის წევრებს ეეჭვებოდეთ... ისიც, ალბათ, მაშინ, თუ ისინი საქართველოს ხელისუფლებას მხოლოდ შორიდან – სან მარკოს გუმბათიდან აკვირდებიან!

პარტიის ფინანსურ ანგარიშგებას ცესკოს ნაცვლად კონტროლის პალატა განახორციელებს.

**თითქოს არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, რომელი სამთავრობო ცერბერი იქნება დაგეშილი ოპოზიციის წინააღმდეგ, და მაინც ყოვლისშემძლე კონტროლის პალატა გაცილებით მრისხანედ ჟღერს. ისე, დღემდე მას სწორედაც რომ ხელისუფლების, და არა პარტიების, შემოწმება ევალებოდა და მაინც არასოდეს შეუწუხებია თავი იმ მრავალი მილიონის გადამოწმებით, რაც სახელისუფლებო სტრუქტურების ბიუჯეტიდან ნაცმოძრაობის საარჩევნო მიზნების მისაღწევად იხარჯებოდა.** არც ის გაურკვევია, დეკლარირებული შემოწირულობების გარდა, კიდევ რამდენი და საიდან იხარჯებოდა, რატომ ხდებოდა საარჩევნო წლებში ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ბიუჯეტის არაკონტროლირებადი ზრდა. არც იმ საკითხით დაინტერესებულა, რატომ და როგორ იფარებოდა დუეტის საქმიანობით – „უფლებებს უზღუდავენ ჩემს მემკვიდრესო“, იძახდა, მაგრამ რას იზამდა, ვარდისფრადდემოკრატიულ და ზეციურ საქართველოში ხომ პრეზიდენტი მუდმივად უფლებრივად დაჩაგრულია!ძ

იყო, რა თქმა უნდა, სხვა დასამახსოვრებელი ფაქტები – როგორ დაფარა უცებ ერთმა პატრიოტმა ალპინისტმა მარადიული კრედიტები და როგორ გადაარჩინა თავისი იარაღის კოლექცია, როგორ იქცა ხუთი ენჯეოშნიკი 5 სახელოვან მინისტრად (აქედან ორი – მეტად საეჭვო არჩევნების შედეგების ეგზიტპოლებით სწორად „გამოცნობისათვის“ძ, როგორი კოსმიური სიჩქარით იწრთობოდა სახელისუფლებო პირების ცოლების, მამების, ბიძების და სიდედრ-სიმამრების ბიზნესი – (სხვებისძ კორუფციასთან დაუზოგავი ბრძოლის ქარცეცხლიან წლებში, ისიც, როგორი ფანტასტიკური ვილები და კონდოები აიშენეს მოკლე ხანში ჩვენმა ანტიკორუფციონერმა რევოლუციონერებმა საკუთარი რევოლუციური ღვაწლის დასაფასებლად და უკვდასაყოფად... მაგრამ რაც მართალი – მართალია, შოკოლადის „ბამბანერკა“, „კანიაკი“ და „დუხი“ აღარავის აუღია და ვინაც აიღო, კიდეც ახეხინეს ვირის აბანო – მთელი მსოფლიოს დასაბრმავებლად!

ტაში (სხვებისძ კორუფციასთან მებრძოლ

## საკანონმდებლო ჭრა-კერვის



სხვადასხვა ტელევიზიის ხარჯები ბიუჯეტიდან. ახლა კი კონტროლის პალატამ ახალი დირექტივა მიიღო და რატომღაც არ მჯერა, რომ თავის მსახვრალ მზერას ნაციონალური მოძრაობის აქტივებს მიაპყრობს და არა მხოლოდ – „ქართული ოცნებისა“. ალბათ, უპრიანი იქნება ამ ორგანოს სახელი გადაერქვას და „ოპოზიციის გაკონტროლების პალატა“ ეწოდოს. კიდევ უფრო ზუსტად – „არაკონტროლირებადი ოპოზიციის გაკონტროლების პალატა“!

პარტიებს და იურიდიულ პირებს აეკრძალებათ ფულის, საჩუქრებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების გადაცემა. ამასთან, ეს აკრძალვები გავრცელდება იმ იურიდიულ პირებსა და იურიდიული პირების წარმომადგენლებზე, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად არიან დაკავშირებული პოლიტიკურ პარტიებთან.

ალბათ, გახსოვთ ასეთი დიდი მეცნიერი – კონსტიტუციონალისტი ავთანდილ დემეტრაშვილი. ამ დიდმა მეცნიერმა თავი დასდო მეორე თავდადებულ თენგიზ შარმანაშვილთან ერთად, საქართველოს კონსტიტუციის ისეთ ძირეულ ცვლილებაზე, რომლითაც ჩვენი ქვეყნის ყოვლისშემძლე პრეზიდენტი მომავალში გერმანიის პრეზიდენტივით დეკორატიულ ფიგურად იქცევა, ხოლო საქართველოს ტექნიკური (და საფერფლეების სამიზნე!ძ პრემიერ-მინისტრი – უძლევამოსილეს პერსონად! რა თქმა უნდა, იმის იმედი არც უნდა ჰქონოდათ ჩვენს მეცნიერებს, რომ მათი შრომის შედეგს პრეზიდენტი დააფასებდა – კაცს (ანუ მის თანამდებობასძ ხომ ყველანაირი შიგანი და ატრიბუტი გამოაცალეს! ხოლო მომავალში პრემიერ-მინისტრი ვინ იქნება, ეს ხომ აბსოლუტურად უცნობია ჩვენს სინამდვილეშიძ, რომ იმის მადლიერების იმედზე ყოფილიყვნენ! ასე რომ, ამ შეხმატკბილებულ და უანგარო წყვილს მათი დაუღალავი შრომის საფასურად არამცთუ – „პარკერის“ კალამი, არც – იების თაიგული და არც ტვიქსის „ტკბილი წყვილი“ რგებიათ, სხვა მატერიალურ ფასეულობებზე რომ არ ვთქვათ რამე... ეს კი იყო, ერთმა აშშ საელჩოს ყოფილი შენობა გაირტყა ოფისად და მრავალათასლარიანი სამარადისო ხელფასი – თავისთვის და თავისი ოფისის ბედნიერი თანამშრომლებისათვის, მეორე კიდევ – მოძმე სომხეთში გაუშვეს ელჩად ჭაპანსაწყვეტად... მაგრამ, აბა, ეს რა მოსატანია... თან, ორივე ეს გადაწყვეტილება ხომ პრეზიდენტმა გააფორმა და ის, როგორც მოგახსენეთ, ძალიან გალიზიანებული იყო ამ ჩვენს სახელოვან ელიტას!! მით უფრო ტაში, რომ ეს გამოძიებული და დასჯილი არ არის! რა ფენომენალური ხელოვნებაა სხვის ჯიბეში უკანონო გროშების ჩხრეკას, როცა საკუთარი მილიონები და მილიარდები მზეზე ბრწყინავს!

პარტიის წევრის მიერ საწევროს სახით გადახდილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 1200 ლარს. პარტიის მიერ წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი შემოსავალი, სახელმწიფო დაფინანსების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 0,2%-ს, რაც 2012 წლის ბიუჯეტის პარამეტრების მიხედვით, დაახლოებით, 53 მილიონი ლარის ტოლია. ამის ზემოთ მიღებული თანხა კი ბიუჯეტში უნდა გადარიცხოს. საბიუჯეტო დაფინანსების მისაღებად კი დამატებით წინასწარი განაცხადის გაკეთება იქნება აუცილებელი.

ეს მუხლი განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია!

**ქვეყანაში, სადაც ბიუჯეტის 16% (ანუ 1 მილიარდ დოლარზე მეტი!) „სხვა ხარჯებად“ არის გაწერილი, სადაც თავდაცვის სამინისტროს ისე მიუმატეს ერთ დღეში ასი მილიონი, რომ არც არავის უკითხავს და არც არავინ უპასუხებდა, „რაში?“, „რატომ?“ და „როგორ?“, და სადაც დიდი ეჭვი არსებობს, რომ ხელისუფლების საარჩევნო ხარჯები სწორედ ამ გასაიდუმლოებული მილიარდის დიდი ნაწილი იქნება, თუ რომელიმე პარტია (დასაბუთებული ეჭვი მაქვს, რომ ნაცმოძრაობა) თავისი მრავალრიცხოვანი ფიზიკური პირების (და მათზე ფიზიკური, ქიმიური, მედიკამენტური და ფსიქოლოგიური ზემოქმედების) მეშვეობით მოახერხებს და 54 მილიონ ლარსაც კი მოაგროვებს, წარმოგიდგენიათ, როგორი ყიჟინა და ჟრიამული ატყდება, როცა კასტეტმოყვარული და შუბლშეუხრელი პეტო ცისკარიშვილი მოოქროვილ ლანგარზე დააწყობს იმ ზედმეტ მილიონს და ქვეყნის ბიუჯეტის გაუმჭვირვალე სკივრში საზეიმოდ ჩააჩხრიალებს?! ამას რომ წარმოვიდგენ, სიხარულის კურცხალი მდის, სულ მთლად გადარეული ვარ!!!**

აღსანიშნავია, რომ ხელისუფლება ამ ცვლილებების პოზიციების გასამყარებლად ვენეციის კომისიის იმ დასკვნას იშველიებს, რომელიც ოფიციალურად ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა. თუმცა, ხელისუფლებამ პროექტში ცვლილებები მას შემდეგ შეიტანა, რაც ვენეციის კომისიამ დასკვნა მიიღო. ამიტომაც ამ ეტაპზე იმის თქმა, ეს ახალი ცვლილებები არის არა ვენეციის კომისიის რეკომენდაციის გათვალისწინება, ძნელი სათქმელია. არადა, კანონ-

# მაგისტრები ვარდისფერ საქართველოში

„რა არის ხელისუფლება სამართლის გარეშე, თუ არა ავაზაკთა ბანდა?“
ნეტარი ავგუსტინე

პროექტში პირველი მოსმენის წინ შეტანილი ცვლილებებიც საკმაოდ მნიშვნელოვანია.

ერთ-ერთი ასეთი ცვლილება ეხება იმას, რომ პოლიტიკური პარტიებისთვის დაწესებული შეზღუდვები ასევე გავრცელდება იმ პირების ოჯახის წევრებზე და მასთან საქმიან ურთიერთობაში მყოფ ადამიანებზე, ვისაც გაცხადებული აქვს საკუთარი პოლიტიკური მიზნები და ამოცანები.

ანუ, თუ ვინმემ განაცხადა, რომ იგი ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერია და მოძრაობა „ქართულ ოცნებაში“ გაწევრდა, ის და მისი ოჯახის წევრები უკვე ოფიციალურად ჩაითვლებიან (ნაცმოძრაობის ქურუმების მხრიდანძ „პერსონა ნონ გრატებად“ — მათ არც გრანტებს მისცემენ და შეიძლება ბავშვები არც სახელისუფლებო ნაძვის ხეზე დაუშვან. აბა, ვინ გაიგონა, ხელისუფლება იმ ბავშვებს ჩუქნიდეს კანფეტებს, ვისი მშობლებიც ოპოზიციონერებია?!

**ძალიან მაინტერესებს, ამ საკანონმდებლო ინიციატივის შემომტანი პირის აზრით, ეს შეზღუდვები თუ გავრცელდება პროსახელისუფლებო პერსონებთან, მაგალითად, ზურაბ ჯაფარიძესთან, გია ჭანტურიასთან ან გია ნოდიასთან საქმიან ურთიერთობაში მყოფ პირებზე, მაგალითად მძღოლებზე, რეფერენტებზე, მდივნებზე?.. თუ ვერც წარმოუდგენიათ ამ კანონინიციატორებს, რომ ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება აღარ იყვნენ ხელისუფლებაში და ამ გაზონისმჭრელმა კანონებმა მათ თავებზე გადაიაროს? თუმცა, ამას როგორ წარმოიდგენენ? გაწყდა ხალხი წელში ამდენი ღამისთევით სწორედ იმიტომ, რომ ეს — მთავრობაში ვინმე სხვისი მოსვლა — არასოდეს განხორციელდეს საქართველოში!**

გარდა ამისა, კანონპროექტის მიხედვით, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების მიმართ, რომელიც იღებს სახელმწიფო დაფინანსებას, ადმინისტრაციული სახდელების დადება, დამატებით გამოიწვევს სახელმწიფო დაფინანსების შეწყვეტას.

კანონპროექტში ისიც არის ნათქვამი, რომ პარტიებს ფულადი სახსრების დაპირებასთან ერთად მომსახურების დაპირებაც ეკრძალებათ. კერძოდ, აკრძალული ქმედებების ჩამონათვალს დაემატა მოქალაქეების დაინტერესება მომსახურების მიწოდებით ან მომსახურების დაპირებით.

კანონპროექტში მითითებულია, რომ მომსახურებასთან დაკავშირებული აკრძალვა არ ვრცელდება ისეთ დაპირებაზე, რომელიც საბიუჯეტო რესურსების სამომავლო განაწილებას უკავშირდება, ანუ მთავრობას შეუძლია დაჰპირდეს მოსახლეობას დასაქმებას, ხოლო ოპოზიციურ კანდიდატებს ეს მოსყიდვად ჩაეთვლებათ!

ასე რომ, გიგი უგულავას არ ეკრძალება ბიძინა ივანიშვილის გამოჩენიდან უკვე რამდენიმე კვირაში სატრანსპორტო ბარათებზე 5-ლარიანი ვაუჩერების დარიგება, რამაც თბილისის ბიუჯეტში დაახლოებით 5-მილიონიანი მოულოდნელი ხარჯი გააჩინა.

ასე რომ, პრეზიდენტს არ ეკრძალება მიწის მფლობელებისათვის 30-ლარიანი ბიზნეს ვაუჩერების დაპირება, რაც სავარაუდოდ სახელმწიფო ბიუჯეტში 24 მილიონი ლარის გაუთვალისწინებელი ხარჯი იქნება, რაც აბსოლუტური მარაზმია, რადგან ადამიანებს, რომელთაც რამდენიმე ათასი კვადრატული მიწის დამუშავება უწევთ, 30 ლარი აბსოლუტურად ვერავითარ ხელშესახებ დახმარებას ვერ გაუწევს ბიზნესის კუთხით, და ეს ჩვეულებრივი წინასაარჩევნო მოქრთამვაა.

ასე რომ, საკანონმდებლო ინიციატივა ხელს აფარებს პრეზიდენტს, რომელიც ამ დღეებში დაჰპირდა 50 წელს გადაცილებულ პირებს, რომ სახელმწიფო მათ უფასოდ ჩაუსვამს კბილებს! თურქმენეთის პრეზიდენტის ინიციატივით შთაგონებულ ამ პროექტს, რომელსაც სააკაშვილის მიერ „გაღიმებული საქართველო“ ეწოდა, წარმოუდგენელი წინასაარჩევნო აფიორის სუნი უდის. სავარაუდოდ, საქართველოში 800,000 პენსიონერია, ხოლო 50 წელს გადაცილებულთა რაოდენობა 1 მილიონზე ბევრად მეტია! მაშინაც კი, თუ მათთვის კბილების ჩასმის საშუალო თანხად მხოლოდ 100 ლარს ავიღებთ (რაც მხოლოდ 2 კბილის ჩასმის ფასიაძ, გამოდის რომ სახელმწიფომ ამ პროგრამაზე სულ ცოტა, ნახევარი მილიარდი ლარი უნდა დახარჯოს! და ეს ლაპარაკია იმ ქვეყანაზე, სადაც მილიონნახევარი უმწეოა, და სადაც დაპირებული 100-დოლარიანი პენსია უკვე მესამე წელია იგვიანებს! თანაც ამ პროგრამის განხორციელება ალბათ მთელი სტომატოლოგიური არმიის დასაქმების პირობებშიც კი, რამდენიმე წელს გაიწელება, ანუ ამის არც რესურსი არ არსებობს. სავარაუდოდ, არჩევნების წინ მხოლოდ რამდენიმე ათეული პენსიონერის ჩასმული კბილები იქნება ის დიდი ბლეფი, რასაც მიხეილ სააკაშვილის მთავრობა კომუნიზმივით აუხდენელ საპნის ბუშტად გაგვიბერავს და საარჩევნო უბნებზე ხუთიანის შემოხაზვას დაუკავშირებს ამ ილუზიების „რეალობად“ ქცევას, ხოლო არჩევნების მოგების შემთხვევაში ისევე დაივიწყებს, როგორც „ერთიან და გამთლიანებულ საქართველოს“, „აფხაზეთი ჩემი სახლია!“-ს, „სახლებში ღირსეულ დაბრუნებას უახლოეს წელიწადში“, საქართველოს სიღარიბის გარეშე!“, საყოველთაო დასაქმებას, 100-დოლარიან პენსიას, საყოველთაო 5-ლარიან დაზღვევას, 100 ახალ საავადმყოფოს და ბევრ სხვა ზღაპარს, რომელიც წინასაარჩევნო ღუმელებში იმიტომ ცხვება, რომ მერე ნაცმოძრაობის უძირო სარდაფში საუკუნოდ დავიწყებულ ხმიადად იქცეს...

და ეს გულუხვი და ბლეფი განცხადებები — თურმე წინასაარჩევნო მოსყიდვა არ არის!

ცვლილებები იქნება შეტანილი „სისხლის სამართლის კოდექსშიც“.

„სისხლის სამართლის კოდექსის“ მოქმედი რედაქციით, არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე აკრძალულია ამომრჩევლისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების უსასყიდლოდ ან შეღავათიან ფასებში გადაცემა ან მიყიდვა.

ასევე, აკრძალულია უფასო მომსახურების გაწევა ან ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან არჩევნებში ხმის მიცემისგან თავის შეკავების მიზნით. ეს ქმედებები ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

აქვე შევნიშნავ, რომ ამ — უკვე დიდი ხანია მოქმედი — კანონების მიუხედავად, მიხეილ სააკაშვილიც, გიგი უგულავაც, გუბერნატორებიც, მინისტრებიც და გამგებლებიც სწორედ არჩევნების წინ მასობრივ ტელევიზორების, ინდაურების, ავეჯის, კომპიუტერების და სხვა საქონლის დარიგებით იყვნენ დაკავებულნი, საარჩევნო წლებში რამდენჯერმე გაიზარდა სახურავების გადახურვის, ლიფტების რემონტის და განსაკუთრებით — სახლმმართველობის თავმჯდომარეთა სახელფასო დაფინანსება, ამ უკანასკნელებთან ეწყობოდა შეხვედრები რესტორნებში და სხვადასხვა ხასიათის გასართობი ღონის- და ღვინის-ძიებები... არავის, არც ერთ პროკურორს, კონტროლის პალატის არც ერთ რიგით თუ ხელმძღვანელ პირს, საამაყო რეფორმირებული პოლიციის არც ერთ კორადო კატანის და, რაც მთავარია, თავად ჩვენი კონსტიტუციის ბურჯს, გარანტს და, შეთავსებით, მთავარ თერძს — არ გასჩენიათ იმის სურვილი, რომ ეს კანონმდებლობაში დაფიქსირებული თავისუფლების აღკვეთა, ერთი-ორჯერ — დემონსტრაციულად მაინც, გამოეყენებინათ!

ცვლილებების პროექტით კი, პარტიას ამომრჩევლის მოსყიდვად ჩაეთვლება პოლიტიკური მიზნით პირდაპირ ან არაპირდაპირ ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი უფლების ან მომსახურების ან სხვა რაიმე უპირატესობის შეთავაზება, დაპირება, გადაცემა, გაწევა, ან ასეთის მოთხოვნა ან მიღება. აგრეთვე, პარტიას ეკრძალება მოჩვენებითი, თვალთმაქცური ან სხვა გარიგების დადება კანონით დადგენილი შეზღუდვებისათვის თავის არიდების მიზნით. თუ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული აკრძალვები მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში მოქმედებდა, კანონპროექტით, ასეთი ქმედებები პარტიას ამომრჩევლის მოსყიდვად, ნებისმიერ დროს ჩაეთვლება.

გარდა ამისა, მკაცრდება სასჯელის ზომაც და თუ აქამდე ამომრჩევლის მოსყიდვისთვის სასჯელი ერთწლიანი პატიმრობა იყო, კანონპროექტით სასჯელი 3 წლამდე იზრდება, თუმცა, ჩნდება ჯარიმის ალტერნატივაც. ხოლო იურიდიულ პირებს ამ ქმედებებისთვის ლიკვიდაცია ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ემუქრებათ. კანონპროექტში მითითებულია, რომ ამომრჩევლის მოსყიდვად არ ჩაითვლება პარტიის კამპანიის აქსესუარების — მაისურების, კეპების, ქუდების, დროშების და სხვა მსგავსი ნივთების — გადაცემა.

**ამასთან, მკაცრდება სანქციები პარტიის მიერ აკრძალული შემოწირულობის მიღებისთვისაც. აქამდე მოქმედი კანონით აკრძალული ფინანსური და მატერიალური შემოწირულობის მიღებაზე დაწესებული იყო 1000-დან 5,000 ლარამდე ჯარიმა. აღნიშნული ნორმა უქმდება და მის მაგივრად მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონპროექტს ახალი მუხლი ემატება. ახალი მუხლი კანონპროექტში პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განხილვის დროს გაჩნდა. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონპროექტში ჩაიწერა, რომ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების მიერ აკრძალული შემოწირულობის მიღება ან დამალვა გამოიწვევს აკრძალული ფინანსური შემოწირულობის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვას და დაჯარიმებას მიღებული ფინანსური და მატერიალური შემოწირულობის ათმაგი ოდენობით.**

ასევე, ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებისათვის აკრძალული ფინანსური და მატერიალური შემოწირულობის განხორციელება გამოიწვევს აკრძალული ფინანსური და მატერიალური შემოწირულობის განმახორციელებელი ფიზიკური ან იურიდიული პირის დაჯარიმებას, შემოწირულობის ათმაგი ოდენობით.

აღნიშნული პასუხისმგებლობები შეიძლება პირს დაეკისროს შესაბამისი ქმედების ჩადენიდან 6 წლის განმავლობაში. მაშინ, როდესაც საარჩევნო დანაშაულის ხანდაზმულობის ვადა მხოლოდ 2 წელია.

მხოლოდ ერთ კატასტროფულ და აბსურდულ შესაძლებლობას განვიხილავ, რაც ამ ცვლილებებს შეიძლება მოჰყვეს. ყველამ ვიცით, რომ ბიძინა ივანიშვილი საკმაოდ სერიოზულად აფინანსებს მრავალი გაჭირვებული ადამიანის უცხოეთში მკურნალობის ხარჯებს, განსაკუთრებით — სიმსივნეებით და ლეიკემიით დაავადებული ბავშვების მკურნალობისას! და რა გამოდის, ახლა ასეთი დაფინანსების გამო როგორც მას, ასევე თავად ამ დაფინანსების მიმღებ პირს 3 წლით პატიმრობის საფრთხე დაემუქრება! ეს ამორალური ხელისუფლება, რომელიც პრეზიდენტის ფავორიტკის კაბაზე ასეულ ათასობით დოლარს, ქანდაკებებზე — მილიონებს, ხოლო სასახლეზე — მილიარდს ხარჯავს, და რომელსაც არ ახსენდება და თავისი ჰედონიზმის დაკმაყოფილების შემდეგ „არ რჩება“ სახსრები ამ ადამიანთა მკურნალობაზე, ახლა ივანიშვილს მორალურ დილემას უყენებს — ან დაანებებ პოლიტიკოსობას თავს, ან მე არ მოგცემ მორალურ ფუფუნებას, რომ ქველმოქმედი იყო და ხალხს დაეხმარო! ხოლო ავადმყოფებს ეუბნება — ან დაიხოცეთ, ან დაგიჭერთ ჩემი ოპონენტის ფულის აღებისათვის! ხალხი, ვინც ასეთი მახე მოიფიქრა, რას იმსახურებს, გეკითხებით მე თქვენ!..

**ისედაც გრძელ სტატიაში აღარ დავიწყებ იმის მტკიცებას, რაც აშკარაა: უსამართლო ქვეყანაში, სადაც ყველა კანონი პოლიტიკური ოპონენტების მიმართ გამოსაყენებლად იწერება და სასამართლო მხოლოდ ხელისუფლების მონოპოლიის გამამტკიცებელ უსამართლობის სანოტარო კანტორად ქცეულა, ეს ცვლილებებიც, რომლებიც, პოლიტიკაში არჩევნებზე ორიენტირებული ძლიერი ოპონენტის გაჩენის შემდეგ მიიღო შეფუცხუნებულმა და ფერნაცვალმა ნაცმოძრაობამ, არის იმის კლასიკური ნიმუში, რასაც ფრანკოსეული ორმაგი სტანდარტების პირობებში საკანონმდებლო ნორმების გამკაცრება ისახავს მიზნად — „ლიბერალიზმი — ჩემი ერთგული ლაქიებისათვის, კანონის მთელი სიმკაცრე — ჩემი ოპონენტებისათვის.“**

ბოლოთქმა: შევარდნაძის დროს უნივერსიტეტებს ავტონომია ებოძათ და რექტორის არჩევნებზე განათლების ან დარგობრივი სამინისტრო აღარ აგზავნიდა თავის ემისარს, რომელსაც პროფესორთათვის უზენაესი გადაწყვეტილება უნდა ეცნობებინა. ეს ფუნქცია უნივერსიტეტების თუ ე.წ. რექტორის საბჭოებს გადაეცათ. მაშინ, შევარდნაძის დროის გაქნილმა კორუმპირებულმა ფუნქციონერებმა, თავიანთი რექტორობა რომ სამუდამოდ ექციათ, სასწავლო დაწესებულებების მათ მიერვე შედგენილ დებულებებში დაიწყეს იმის ჩაწერა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო რექტორი და ამ პიროვნებს საკუთარ მონაცემებს ერთი-ერთზე არგებდნენ. მაგალითად, ერთ უნივერსიტეტში დებულებაში ეწერა, რომ რექტორი უნდა ყოფილიყო კათედრის გამგე მინიმუმ 12 წლის საპროფესორო სტაჟით (რადგან რექტორს ჰქონდა ამდენი, ხოლო მთავარ კონკურენტს — მხოლოდ 10 წელიძ, მეორეგან — რომ უნდა ყოფილიყო უცხოეთის მინიმუმ ორი აკადემიის საპატიო წევრი!.. სხვაგან — რომ უნდა ემუშავა აღნიშნულ დაწესებულებაში მინიმუმ 20 წელი!.. ერთმა ენამახვილმა პროფესორმა თქვა თავის რექტორზე, ბარემ ჩაწერონ ამ დალოცვილმა დებულებაში, რომ რექტორი 190 სმ-ზე დაბალი არ უნდა იყოს და სახეზე ხალი უნდა ჰქონდესო!

სხვათა შორის, სააკაშვილის „რეფორმატორობა“ იმაშიც გამომჟღავნდა, რომ მან ისევ ზევიდან დაიწყო სარექტორო კანდიდატების დანიშვნა, რომლის გამხელა ძველებურად დარგობრივი მზე-მინისტრების პრეროგატივად იქცა, რითაც „დემოკრატიის შუქურამ“ განათლებაში კომუნისტური ვერტიკალი აღადგინა.

**ხოლო მმართველი პარტია, საკუთარი მმართველობის განსამტკიცებლად, ახლა უკვე იმაზე მიდის, რომ სხვების არჩევის შანსი ნულამდე დაჰყავს. თუ სერიოზული კონკურენტი ფინანსურად ძლიერია, ალბათ კონსტიტუციაში გარკვეული დროით ჩაიწერება, რომ კანდიდატს რაღაც რაოდენობაზე მეტი ქონება არ უნდა ჰქონდეს. ხოლო თუ — პირიქით — ღარიბი იქნება, მაშინ მინიმალურ ქონებრივ ცენზს დააწესებენ საკმაოდ მაღალ დონეზე. როცა საქართველოში ახალდაბრუნებულ ადამიანზე მიდგა საქმე, ადგილზე მაცხოვრებლობის ცენზი შემოიღეს. თუ პირიქით, ოპონენტ კანდიდატს საქართველოს მხოლოდ ერთ ქალაქში ექნა მთელი ცხოვრება გატარებული, მაშინ ამას ჩაწერენ დაწუნების კრიტერიუმად! და კონსტიტუციას ხომ როგორც უნდათ, ისე ცვლიან! 2003 წელს რეფერენდუმი ჩატარდა, რომ პარლამენტართა ოდენობა 150-ზე მეტი არ უნდა ყოფილიყო და — „ეგ რეფერენდუმი სავალდებულო არააო!“, რამდენიმე თვე ენა გაიქაფეს უმრავლესობის საკანონმდებლო თერძებმა, ხოლო როცა, ივანიშვილის მოსვლის შემდეგ, სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა, წამში შეატრიალეს კეხი და — „რატომ უნდა შეგვეცვალა ხალხის მიერ დადგენილი ნორმაო?!“, ისე უტიფრად გამოაცხადეს, თართის და ორაგულის „არჩევის“ უბადლო დიდოსტატ ლუარსაბ თათქარიძესაც შეშურდებოდა...**

უკანასკნელი საკანონმდებლო ინიციატივები, ცვლილებები საარჩევნო კანონში, მიტინგების და მანიფესტაციების შესახებ რეგულირებებში, ახალი და გააფთრებული შეტევები მედიის თავისუფლებაზე — უკვე ჟურნალ-გაზეთების გავრცელების არნახული შეზღუდვებით და დაბლოკვით, დაბოლოს, თავად ხელისუფლებიდან გამოსული ინფორმაცია (ადრე — არაგაცხადებული და ამჟამად უკვე — ხელისუფლების მოჟღურტულე მახაროზლის — თამაზ დიასამიძის პირითძ ამტკიცებს, რომ ხელისუფლებამ მგონი უკვე გადაწყვიტა არჩევნების შემოდგომიდან გაზაფხულზე გადმოტანა.

საქართველოს ხელისუფლება დიდი ხანია უკვე იქცა პირწავარდნილ ავაზაკთა ბანდად, რომლის ერთადერთ მიზნად ახლა იმის საკანონმდებლო განმტკიცება ქცეულა, რომ არავინ მოახერხოს მათი ხელისუფლებაში ყოფნის ფუფუნების ხელყოფა. ქვეყანაში, სადაც არ არის სამართალი, სადაც სამართალს ადეიშვილის პროკურატურა, კუბლაშვილის სასამართლო, მერაბიშვილის პოლიცია, უგულავას (მერაბიშვილისძ არველაძის (ჭანტურიასძ მედია, სააკაშვილის ხელისმლოკავი „ესენი ვინ არიან?“ პოლიტჭიაყელა კანონმდებლები ჰქმნიან, ვშიშობ, ეს უკანასკნელი საკანონმდებლო ცვლილებები მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავს — ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ დემოკრატიის ყველანაირ ფასადზეც კი უარის თქმა და საბოლოოდ ავტოკრატიის დამყარება გადაწყვიტა. „სინგაპურიზაცია სრული ტემპით!“ — აი, ევროკავშირზე ყასიდად ორიენტირებული ნეობოლშევიკების ლოზუნგი, რომელსაც მალე სახალხოდ გამოაცხადებენ.

ნუთუ ჩვენი შვილების მომავალს, ჩვენი წინაპრების ძვლებს, ჩვენს ენას, რწმენას და მამულს, და ჩვენს ოცნებას თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოზე ამ „საკანონმდებლო ზინგერების“ ამორალურ და უპრინციპო ნაკრებს დავუთმობთ, რომელთაც ქვეყანა — ნინიას ბაღი, სააკაშვილი — ნინია, ხოლო საქართველოს კონსტიტუცია და კანონები — მათ მიერ მუდმივად თავის თავზე მოსარგებად უნიჭოდ გადასაკეთებელი შარვალ-კოსტიუმი ჰგონიათ?!

ყველანი, ვისაც მონობა და მონათმფლობელობა არ გვსურს, უნდა გავერთიანდეთ!!!

თუ იქ, სადაც ათასი კაცის შეკრება გაუგონარი მიღწევა იყო, ახლა 100,000 კაცი გამოდის, დავიჯერო, ჩვენ ავიტანთ ჩვენი არჩევნის უკვე მერამდენე გაყალბებას და სახლში დავრჩებით? უნდა მოვემზადოთ არჩევნებისთვის! მთელი მსოფლიო ნახავს, ვის უნდა პატიოსანი არჩევნები და ვის — არჩევნების მოპარვა! და განსხვავებით წინა შემთხვევებისაგან, დღეს მმართველი კლანის საერთაშორისო რეიტინგი 0-ის ტოლია და აბსოლუტურ ნულამდეც დავა, თუ ისინი არჩევნების გაყალბებას შეეცდებიან.

**სოლომონ თერნალი**

Presage.tv

ტრადიცია

# ახალი წელი კარს მოგვადგა



### ნაძვის ხე პირველად ბეთლემის ვარსკვლავით შეამკეს

არსებობს გადმოცემა: როდესაც მაცხოვარი იშვა, მას მთელმა სამყარომ სცა თაყვანი – ანგელოზები უგალობდნენ, მწყემსები იხარებდნენ. მართალმა იოსებმაც თაყვანისცა ახალშობილ ქრისტეს. რადგან ღარიბი დურგალი იყო, პატარა ნაძვის ხე მოჭრა და ახალშობილ მაცხოვარს მიართვა. ნაძვის ხე ვარსკვლავებით მორთო და თავზეც ვარსკვლავი დაადგა (ეს გადმოცემა დასავლეთის ეკლესიიდან მომდინარეობს – იმ დროიდან, ვიდრე რომის ეკლესია მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღს გამოეყოფოდა).

ძველი რომაელები სახლს ნაძვით რთავდნენ, და გერმანელებმაც მოინდომეს ამ ტრადიციის გადმოღება და, რაკი მათთან დაფნა არ ხარობდა, არჩევანი ნაძვზე შეაჩერეს. ნაძვი ხომ დაფნის მსგავსად მარადმწვანეა, მწვანე ფერი კი ძველ ეგვიპტეში სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების სიმბოლო იყო. არსებობს კიდევ ერთი ვერსია, რომ ნაძვს მისი წიწვების გამო დააკისრეს სახლში დადგმა, რადგან სწორედ წიწვები იცავს ოჯახს ავი სულებისაგან. ამის გამო ევროპელები ხის ამ ჯიშს წმინდად მიიჩნევენ.

საშობაოდ ნაძვის ხის მორთვის ტრადიციის დაწესებაზე მრავალი გადმოცემა არსებობს.

ერთი გადმოცემით, როდესაც ჰეროდეს მახვილს განრიდებული წმინდა ოჯახი ეგვიპტეში გარბოდა, მათ მეფის მხედრები წამოეწივნენ. ფოთოლგაცვენილმა ხეებმა მაცხოვარი ვერ დამალეს, მაშინ ნაძვმა შეიფარა ისინი და წიწვებით დაფარა.

იმ ღამეს ეს ნაძვი ულამაზესი თეთრი ყვავილებით გაიდაიპენტა.

საშობაოდ ნაძვის ხე პირველად გერმანიაში მე-18 საუკუნეში მორთეს. იგი ტკბილეულით, სანთლებითა და ბეთლემის ვარსკვლავით შეამკეს. ნაძვის ხე ქრისტესმიერი, მარადიული სიცოცხლის სიმბოლო გახდა.

გერმანელები ხეებს საშობაოდ პირდაპირ ტყეში რთავდნენ ნაირფრად და მის გარშემო ცეკვავდნენ.

მეთექვსმეტე საუკუნეში ნაძვს სახლში კიდებდნენ კენწეროთი ქვემოთ. ამ საინტერესო ტრადიციამ თითქმის ორ საუკუნეს გასტანა. დღევანდელი სახე მეთვრამეტე საუკუნეში გერმანიაში მიიღო და მთელი ევროპა მოიცვა. 1857 წელს უინძორის სასახლეში პირველებმა პრინცმა ალბერტმა და დედოფალმა ვიქტორიამ მოაწყვეს საშობაო ნაძვის ზეიმი შვილებისათვის. ეს ტრადიცია ძალიან მოეწონათ სხვა ხალხებსაც და მალე საშობაოდ ნაძვის ხის მორთვა მთელ მსოფლიოში დაიწყეს.

რუსეთში ნაძვის ხეს თავდაპირველად მხოლოდ იქ მცხოვრები გერმანელები რთავდნენ. ერთხელ პეტრე პირველი თავის მეგობარს ეწვია საახალწლოდ და მოეწონა სადღესასწაულო მორთულობა, ნაძვის ხის ზეიმი.

იმპერატორმა ბრძანება გასცა, ახალი წელი ამიერიდან დაწესებული 1 სექტემბრის ნაცვლად 1 იანვარს აღენიშნათ. რიგითმა რუსმა მოქალაქეებმა ნაძვის ხის მორთვა მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოდან დაიწყეს.

საქართველოშიც დაახლოებით ამ პერიოდში შემოვიდა ეს ლამაზი ტრადიცია!...

### სად ცხოვრობს ჩვენი თოვლის პაპა?

ბავშვებს ყველაზე მეტად თოვლის პაპის მოტანილი საჩუქრები უყვართ. მაგრამ როგორ დაწესდა ეს ტრადიცია? თქვენ ალბათ გსმენიათ, რომ უცხოეთში თოვლის პაპას „სანტა კლაუსს" უწოდებენ. სანტა კლაუსი წმინდა ნიკოლოზს ნიშნავს. სწორედ მის სახელს უკავშირდება საშობაოდ თოვლის პაპის მიერ საჩუქრების დარიგების ტრადიცია.

ლეგენდის მიხედვით, სანტა-კლაუსის პროტოტიპი იზმირელი ეპისკოპოსი ნიკოლოზი ყოფილა. იგი თურმე ძალიან მდიდარი და, რაც მთავარია, ხელგაშლილი იყო. ძალიან უყვარდა ბავშვები. ხშირად ასაჩუქრებდა ღარიბ ბავშვებს.



ეპისკოპოსი ნიკოლოზი ბავშვებს საჩუქრებს ფანჯრის რაფაზე ულაგებდა. მოგვიანებით საქრისტიანომ იგი წმინდანად შერაცხა და სამყაროს წმინდა ნიკოლოზი მოევლინა. სწორედ ამ სიკეთით სავსე წმინდანის სახე არის დასაბამი დღევანდელი სანტა-კლაუსისა.

თავდაპირველად ინგლისში მას „შობის პაპას" ეძახდნენ, მოგვიანებით კი მან ამერიკის შეერთებულ შტატებშიც შეაღწია და მთელ ევროპა-ამერიკის ტერიტორიაზე ერთი სახელი დაიმკვიდრა – სანტა-კლაუსი. მას წითელი ქუდი ახურავს, წითელი მოსასხამი აცვია, შავი ჩექმები და თოვლივით თეთრი წვერი აქვს, სათვალე უკეთია, ჩიბუხსაც გემრიელად აბოლებს. იგი ახალი წლის წინა ღამეს უზარმაზარ მარხილში ჯდება, რომელშიც მშვენიერი ირმებია შებმული და ბავშვებისკენ მიქრის. კეთილი სანტა თითოეული ბავშვის სახლთან ჩერდება, ბუხრის მილით ოთახში ჩადის და საჩუქარს იმ წინდაში დებს, რომელსაც ბავშვები წინასწარ უმზადებენ მას, თანაც პატარა ეჟვანს აწკრიალებს: მეც მოვბრძანდი და ახალი წელიც დადგაო!

წმინდა ნიკოლოზის ცხოვრებიდან ვიცით, რომ იგი ძალიან მოწყალე იყო, მას არასოდეს ავიწყდებოდა გაჭირვებული ადამიანები და განსაკუთრებით დღესასწაულებზე შეეწეოდა.

ასე დაუკავშირდა წმინდა ნიკოლოზის სახელი ქრისტეშობის დღესასწაულს.

თოვლის პაპა საქართველოში გვიან გამოჩნდა, მანამდე ჩვენთან მეკვლეები ულოცავდნენ ოჯახს ახალ წელს. როდესაც ახალი წელი დგებოდა და ბავშვები ჩიჩილაკს, ნაძვის ხეებს რთავდნენ, მაშინ ოჯახის ყველაზე უფროსი წევრი განსაკუთრებულად გამოეწყობოდა, გარეთ გავიდოდა და ახალი წლის დადგომისთანავე ტკბილეულით ხელში შემოაბიჯებდა საკუთარ სახლში, რაც იმას ნიშნავდა, რომ სიტკბოება არ უნდა მოკლებოდა მის ქართულ ოჯახს. აი, ასეთი იყო ჩვენი მეკვლე.

მალე მეკვლეს პირველობა შესუსტდა და გამოჩნდა საყვარელი თოვლის პაპა. იმთავითვე კეთილი, მხიარული, წვერებიანი და, რაღა თქმა უნდა, ხურჯინით ხელში.

იგი სვანეთის მაღალ კოშკში დასახლდა და ყველა ბავშვისგან ელის წერილს. მართალია, ყურებიანი ბორცვი საქართველოში არ არსებობს, მაგრამ თოვლის პაპა მაინც ახერხებს თვალ-ყური ადევნოს, თუ როგორი იქცევიან პატარები მთელი წლის განმავლობაში.

### სანთელი ფანჯარაში – ყოვლადწმიდა ქალწულს მოვიხმობთ

იმ დღეებში, კეისრის ბრძანებისამებრ, ყოვლადწმიდა ქალწულსა და მართალ იოსებს ბეთლემში წასვლა მოუწიათ, რათა აღწერილიყვნენ. ქალაქში ჩასულებს ყველა სახლი და სასტუმრო დაკავებული დახვდათ, ვერსად იპოვეს თავშესაფარი. მხოლოდ საქონლის ბაგა დახვდათ ცარიელი, სადაც იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე.

ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს ასეთი ტრადიცია: შობის ღამეს ფანჯარასთან ანთებენ სანთელს და ამით სულიწმინდას სახლში ეპატიჟებიან.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ეს ტრადიცია ჩვენშიც დამკვიდრდა. ამით ჩვენ მოვიხმობთ ყოვლადწმიდა ქალწულს, რათა შემოვიდეს ჩვენს ოჯახში, მოვიხმობთ ქრისტეს, რათა იგი იშვას არა მარტო ჩვენს სახლებში, არამედ, უპირველესად, ჩვენს გულებში.

### საშობაო საჩუქრები – ქრისტესთვის მირთმეული ძღვენი

საშობაოდ ადამიანები ერთმანეთს საჩუქრებს უძღვნიან. ეს ტრადიცია პირველი საუკუნიდან მომდინარეობს. როდესაც სპარსელი მოგვები ყრმა იესოს სანახავად მივიდნენ, მათ ახალშობილს საჩუქრები მიართვეს: ოქრო, გუნდრუკი და მური. საშობაოდ ერთმანეთისათვის საჩუქრების მიძღვნა სწორედ მას შემდეგ დაწესდა, ამგვარად ჩვენ ვიხსენებთ მოგვების მიერ ქრისტესთვის მირთმეულ ძღვენს.

**ნატა ნიბლაძე**

## დედამიწის ზურგზე



**ამერიკელებმა წარმოადგინეს ახალი უპილოტო შვეულმფრენი კამერებით 1,8 გიგაპიქსელზე**

ზესიძლიერის ვიდეოკამარების გარდა მისი უპირატესობა სხვა უპილოტო თვითმფრინავებთან არის აგრეთვე ვერტიკალური აფრენისა და დაჯდომის შესაძლებლობა. სატესტო გაფრენები მოეწყობა 2012 წლის დასაწყისში, მაის-ივნისიდან კი ახალ უპილოტო თვითმფრინავებს უკვე გამოიყენებენ დაზვერვისთვის ავღანეთში.

* * *

**აშშ-მ დადო საიარაღო გარიგება საუდის არაბეთთან თითქმის 30 მილიარდ დოლარზე**



საუდელები მიიღებენ 84 ახალ, მეოთხე თაობის ტაქტიკურ გამანადგურებელს, ამერიკელი სპეციალისტები აწარმოებენ აგრეთვე საუდელთა 70 გამანადგურებელ F-15-S-ის მოდერნიზაციას. ამას გარდა, მათ მიაწვდიან საბრძოლო მასალებსა და სათადარიგო ნაწილებს, ორგანიზებულია სწავლება და ლოგისტიკა,აგრეთვე უზრუნველყოფილია ტექნიკით მომსახურებაც.

* * *

**აშშ-ს დეპარტამენტი გააოგნა ჩავესის სიტყვებმა ვაშინგტონის „კიბოს" იარაღზე**



სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმა „გამაოგნებელი და გაკიცხვის ღირსი" უწოდა ჩავესის კითხვას იმის შესახებ, ხომ არ შეეძლო ამერიკის შეერთებულ შტატებს გამოეგონებინა „კიბოთი დაავადების ტექნოლოგია, მაგრამ ამის შესახებ, უბრალოდ, ჯერჯერობით არაფერია ცნობილი". ნულანდმა ასევე დაუმატა, რომ ვენესუელის ლიდერის სიტყვები არანაირ სხვა რეაქციას არ იმსახურებს.

* * *

**კიმ ჩენ ირს სიკვდილის შემდეგ მიანიჭეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გმირის წოდება „რევოლუციური გმირობისთვის"**

„კიმ ჩენ ირმა განახორციელა უკვდავი რევოლუციური გმირობა ქვეყნისთვის და მისი ხალხისთვის, დროისა და ისტორიისთვის, ათობით წლების განმავლობაში რომ მიჰყავდა კორეის შრომითი პარტია, არმია და ხალხი ბრძნულად, და ვინც რევოლუციის გზას ახალგაზრდულ წლებში დაადგა", – იტყობინება ქვეყნის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც აღნიშნავს, რომ ბრძანებას ხელი მოაწერა უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმმა.



სიყვარული – უკრაინიდან



**რაულ ჩილაჩავა**

# ციკლიდან – „მოფერება“

### ბიძინა ივანიშვილს

არც დემონსტრანტებს მოუძღვის,
და არც აღლუმებს ხსნის.
მას საკუთარი გეგმა აქვს
დედულ-მამულის ხსნის.

თავს არ გვაწონებს ქონებით,
ის მდიდარს არც კი ჰგავს.
სხვის ნარგავს როდი შესცქერის,
თავად თესავს და რგავს.

ამგვარ თვისტომთა ზნეობა
ჩვენც იმედიანს გვხდის.
მასში კაცობის ცეცხლია
და ნაპერწკალი ღვთის.

### როინ მეტრეველს

მასთან მრავალთა სისხარტე
ბლეფია და მონაზმანი,
ვინც კომკავშირის ცეკაში
წერა დავითის აზმანი.

არც როსმე უკადრებია
მას საყვედური ბედისთვის.
როდესაც დრომ მოითხოვა,
გახდა ენციკლოპედისტი.

ერის ღირსებას მფარველობს,
მეტი რა უნდა ერისკა,
ბრწყინვალე მემატიანეს,
რექტორს, ერუდიტს, ერისკაცს.

### ზურაბ წერეთელს

სხვა რომ არა ვთქვათ, რუსთა
ხელმწიფეს
მან იმნაირი ძეგლი დაუდგა,
რომ შინ მოყვარეს, გარეთ მოძულეს
გული მოუკვდა, თვალი დაუდგა.

აქვს მოსკოვეთის სამეფო კართან
მეგობრობა და მეინახობა.
ქუთაისურად რომ ვთქვათ.
„მისდარი
განა მრავალი მეინახება!“

ხვდება ჩვეული სიდარბაისლით
ხმას საალერსოს, ხმას აუგიანს.
თურმე ჩინეთის დიდი კედელიც
მაოს დაკვეთით მას აუგია.

### პაატა ბურჭულაძეს

რომ არასოდეს ჰქონია
მას დიდი შიში რამპისა,
ვიგრძენით, კოვენ-გარდენში
როცა წარმოსდგა რამფისად.

მისი ყელიდან ერთბაშად
ისეთმა ქარმა მოზერა,
ტაშით დაინგრა კინაღამ
მეტროპოლიტენ-ოპერა.

ძნელად თუ სადმე იპოვით
მომღერალს ასეთს მანიანს.
მისი სახლია მსოფლიო,
ხოლო თბილისი – მანია.

### გურამ ახალაიას

ასე მგონია, ქვეყანა
იმანაც შეაშფოთა,
რომ ვაი-ქართველს ზოგიერთს
შენებრ არ უყვარს შოთა.

სადაც კი გამოიცემა
მისი ღვთიური ტომი,
შენ ხარ იმ ტომის პირველად
ნახვის, დაფურცვლის მდომი.

ძველ ფაზისს, ახალ აიას
უფრთხოზ „ნაგლსა“ და „ნახალს“.
შენ, ნამდვილ ახალაიას,
წელს მოგილოცავ ახალს.

### გურამ ფირცხალავას

ეკრანზე სულ სხვა კაცი ხარ,
და ცხოვრებაში – სულ სხვა,
თუმც ორივეგან წესად გაქვს
უკეთურების სუსხვა.

შენს გზაზე იმედიანად
მრავალჯერ ირიჟრაჟა.
ხომ არ გწყინს, რომ მილიონებს,
ჰგონიხართ მართლაც რაჟა?

კი, ათასების გულებში
სევდამ დაისადგურა,
მაგრამ ნუ ჩათვლი მათ ვარამს
ქვეყნის დაისად, გურამ!

### შალვა ნათელაშვილს

ვით ჩირგვებს შორის ამაყად
ტანაშოლტილი ალვა,
ლეიბორისტთა მიტინგზე
წამომართულა შალვა.

მას არ ჩვევია ბრძოლაში
სხვათა ზურგს უკან მალვა.
ესმის მისი ხმა მესტიას,
დუშეთს, ახმეტას, ალვანს.

„ეჰ, რა ხანია ვიძახით:
ჰალვა, ჰალვა და ჰალვა“,
მაშ, პირში კვლავაც სიმწარეს
რად ვგრძნობთ, ბატონო შალვა?

### გუბაზ სანიკიძეს

თავდადებისთვის მზადყოფნას
როცა გვიმტკიცებს ფორუმი,
ვფიქრობ, სადაა ამჟამად
ნამდვილი ყარაყორუმი.

შენ ინტელექტით კოლეგებს
ეეტალონე, ემეტრე,
მაგრამ თუ ნახე მათ შორის
ნამდვილი მეფე დემეტრე?

და, საერთოდაც, რამდენ ხანს
იცურებს გემი უბაზო?
ეს, ალბათ, მარტო შენ იცი,
შენ გაგეგება, გუბაზო!

### ბესიკ ხარანაულს

უარჰყო დიდი ბესიკის რითმა
და ვერლიბრს უთხრა: „ხარ ანეული“!
ასე მოვიდა, ასე დამკვიდრდა
პოეზიაში ხარანაული.

მეტაფორებით გაჯერებული
მისი ყოველი პწკარი, კარია
ნათელ სივრცეში, რომლის გაღება
მეც მსიამოვნებს და მიხარია.

მახსოვს, ოდესღაც ვთარგმნიდი
ბესიკს...
ეჰა, მას შემდეგ რა დრო გასულა!..
და „ხეიბარი თოჯინაც“ უკვე
გადაქცეულა მეფის ასულად.



კოლეგები

# ჩანჩქერში ცურვის პაატა ნაცვლიშვილისეული გაკვეთილები ჟურნალიფსიტებისთვის



**გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ცნობილ ჟურნალისტს პაატა ნაცვლიშვილს აქვს თავისი შემოქმედებითი სახელოსნო.**

საქართველოში შემორჩენილ (გადარჩენილ!) უნივერსიტეტებს შორის პაატას სახელოსნო ჯერჯეროზით ერთადერთია, რომელიც ჟურნალიფსიტებს „ხეზე ასვლას“ ასწავლის და მიმზიდველ ლექციებთან ერთად, პრაქტიკულად აიარაღებს ჟურნალომებთან შესაბმელად...

ჟურნალისტიკის საფუძვლებს საქართველოს მრავალ უნივერსიტეტში ასწავლიან, მაგრამ ისე სრულყოფილად და დამაჯერებლად არსად, როგორც გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის პაატა ნაცვლიშვილის სახელოსნოში.

ამის დასტურია ამ შეშლილ სამყაროში, მედეათა მიჯნაზე, სტუდენტური ჟურნალის „ობოობის“ გამოცემა.

ამ დღეებში სწორედ შეშლილ სამყაროსავით მრავალფეროვანი, დაუჯერებლად ლამაზი, შინაარსიანი, ორიგინალური, ყოველმხრივ სრულყოფილი ჟურნალის მეორე ნომერი გამოვიდა.





ობობა, ობოობა და მისი მომავალი ოქროს თევზები მკითხველის სამსჯავროზე! რატომ ამ უცნაური სახელით? როგორც ჟურნალის პირველი ნომრის ხილვით გახარებულმა „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს უკვე განვუმარტე, ეს დედასათაური თანამედროვე ინტერნეტის „მოფერებითი“ სახელიდან მოდის. ინტერნეტის მსოფლიო ქსელს (www) საყოველთაო აბლაბუდად მოიხსენიებენ და აქ იგულისხმება არა ცოცხალი ობობა, რომელიც მარტოოდენ აბლაბუდებს ქსოვს, არამედ ხაზგასმულია თანამედროვე ადამიანთა აქტივობა პარალელურ სამყაროში, მისი გაბმა-გამობმა ვირტუალურ აბლაბუდაში...

„ობოობა“ ორი მედიის – ბეჭდური ჟურნალის და ინტერნეტის დამაკავშირებელი თავისებური ქართული ხიდია, რომელიც იმათ ბურჯებზე დგას... დგას მყარად, ლამაზი ფორმის მოაჯირებით, დგას ისე, რომ ნებისმიერ მკითხველს თითოეული მოაჯირის ხილვა-მოფერება მოენატრება... ეს ლამაზი მოაჯირები „ობოობის“ ქორფა ჟურნალიფსიტებია – ლიკა ალადაშვილი და სალომე ბარამიძე, გიორგი ბერელიძე და გიორგი კარანაძე, თამთა კოპლატაძე და ანუკა მანჯავიძე, ირინე მერაბიშვილი და ნუცა მუჯირიშვილი, სალომე პაპიძე და გეგა რევაზაშვილი, ნათია როზომაშვილი და სალომე სუხიშვილი, ანო ქობულაძე და თათა ღვედაშვილი, სოფიო ყანჩაველი და ანა შეყლაშვილი, სოფიო ჭანტურია და მარიამ ხვადაგიანი, შორენა ხუბუტია და მარიკა ხუციშვილი...

ჟურნალში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ინტერნეტის სამყაროში ახალი ეპოქის ერთ-ერთი შემქმნელის სტივ ჯობსის უდროო გარდაცვალებას და მის დამსახურებას კაცობრიობის წინაშე. სტივ ჯობსის ერთ-ერთ მთავარ კონკურენტს ბილ გეიტს რამდენიმე წლის წინათ უთქვამს: ის, რასაც სტივი აკეთებს, ფანტასტიკააო...

გადაჭარბებად ნურავინ ჩამითვლის თუ ვიტყვი, რომ ის, რასაც პაატა ნაცვლიშვილი თუნდაც ამ სასწავლო ჟურნალის სახით, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტზე დაყრდნობით, საკუთარ შეგირდებზე დაყრდნობით აკეთებს, ფანტასტიკის სფეროდანაა. ჟურნალის ექვსივე სივრცეში (განყოფილებაში) – **ვირტუალურში, რეალურში, საკუთარში, მეორადში, ცარიელში და მასტერკლასისაში,** ისეთი შთამბეჭდავი მასალებია განთავსებული, სასიამოვნოდ გაოცდები კაცი.

ეს უნდა წაიკითხო, სტატიების და რეპორტაჟების განლაგების, ილუსტრაციების შერჩევის მეთოდს უნდა დააკვირდე და... როგორც ჟურნალის პრეზენტაციაზე უფროსი თაობის ჟურნალისტებმა თქვეს, მხოლოდ დიდი ანალიზის შემდეგ მიხვდებით, საიდან აქვს პაატა ნაცვლიშვილს ასეთი (და ამდენი!) ამოუწურავი ფანტაზია, სიახლის გრძნობა, ქართული ჟურნალისტიკის აღორძინების ჟინი.

ჟურნალის პრეზენტაცია ამ დღეებში გაიმართა თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში და ერთი გულწრფელი სურვილით დასრულდა:

ჟურნალისტიკის პროფესიით დაინტერესებულმა ყოველმა სტუდენტმა, ნებისმიერი უნივერსიტეტის სტუდენტმა „ობოობის“ ორივე ნომერი უნდა ნახოს, გულდინჯად წაიკითხოს, რომ გონება გაივარჯიშოს და ჟურნალისტური ოსტატობა აიმაღლოს...

პაატა ნაცვლიშვილი და მისი „ლიფსიტები“ კი უკვე „ობოობის“ მესამე ნომრის იდეაზე ფიქრობენ... ნუთუ ის წინამორბედებს აჯობებს?..

გულწრფელად გვჯერა, რომ ეს ასე იქნება.

**... ახალ წელს გილოცავთ კოლეგებო, – ჟურნალომებსაც და ჟურნალიფსიტებსაც...**

**სპარტაკ ქობულია**



**თაფო ხუციშვილი,**
გრიგოლ რობაქიძის
უნივერსიტეტის
III კურსის
სტუდენტი –
„მის ალმამატერი“,
უნივერსიტეტის სახე...
(ფოტო „ობოობის“
მეორე ნომრიდან).

◎ ვაი ფულისგან




# შეცდომებზე მაინც ისწავლონ!

გემახსოვრებათ, როგორი სირცხვილი ვჭამეთ ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდის დიეგო მარადონას მასპინძლობისას, როცა ფულის მონად ქცეული ხარბი ორგანიზატორების მიერ დაწესებული ბილეთების ზღაპრული ფასის გამო საპატიო სტუმარს ეროვნული სტადიონის ცარიელი ტრიბუნები დავახვედრეთ.

რამდენჯერ გვსმენია, შეცდომებზე სწავლობენო, მაგრამ ეს ჩვენ როდი გვეხება – თუ არგენტინელთან დაკავშირებულ ისტორიაში ერთმა კერძო ინვესტორმა „ისახელა თავი“, ამჯერად თბილისის მერიის ჯერი დადგა.

დედაქალაქის სპორტის სასახლეში განხორციელებულ „ჰარლემელ ელჩთა“ საკალათბურთო შოუს ვიზიტზე მოგახსენებთ, რომელსაც არც რამდენიმე ასეული მაყურებლის გართობა გამოუვიდა და ვერც სხვა კომპონენტებს გაართვა თავი.

უახლოეს წარსულში დიდი პოპულარობით სარგებლობდა მართლაც საცირკო ნომრებით გამორჩეული „ჰარლემ გლობტროთერზი“, რომელიც, ეტყობა, ბევრ თანამედროვე თინეიჯერს ამჟამინდელ სეხნიაში აერია.

არანაკლებ დამამცირებლად შეიძლება შეფასდეს საქართველოს სუპერლიგის ახალგაზრდა ვარსკვლავთა წინააღმდეგ გამართული უფერული ბლარძუნის (იმას, რაც იმ საღამოს ვიხილეთ, თამაშს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ – ეს კალათბურთის პროფანაცია იყო) წინ მომხდარი ფაქტი, როცა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ჰიმნს ოკეანისგაღმელებმა რომელიღაც იქაური „ოლ სთარზის“ ერთ-ერთი მონაწილის საკულტო ჰანგები შეუწყვილეს.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი – მთავარი ის გახლდათ, რომ დალხინებული ცხოვრებით გაზულუქებულმა ჩამომყვანებმა ახალი წლის წინა დღეებში ათასგვარი საზრუნავით განერვიულებულ გაძვალტყავებულ გულშემატკივრებს ბილეთების შესაძენად 7-დან 70(!) ლარამდე ნიხრი დაუწესეს. ამაზე იტყვიან – „მაზოლზე“ წიხლი დააჭირაო.

რატომაც არა – პატარა ბავშვისა არ იყოს, გასდით და...

**გია პლატონიშვილი**

◎ მონაგარი

# მორაგბეთა ლაურეატები

**2011 წელი მორაგბეებმაც შეაჯამეს. დიდუბეში გამოფენის ერთ-ერთ პავილიონში გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე საქართველოს რაგბის კავშირმა მრავალ ნომინაციაში გამოავლინა ლაურეატი. წლის საუკეთესო მორაგბის პრიზი ხვდა საქართველოს ნაკრების მორკინალს მამუკა გორგოძეს, რომელიც ერთი დღით ადრე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელა. დაჯილდოებას ესწრებოდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე გია გალდავა.**



შიდა პირველობის ლაურეატებიდან პრიზები და სიმბოლურ გუნდში ადგილები ძირითადად „არმიას“ და „აიას“ წარმომადგენლებმა დაინაწილეს.

დაჯილდოვდნენ პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული გუნდები – შესაბამისად, „არმია“, „აია“ და „ლოკომოტივი“.

ყველაზე მეტი ჯილდო ქუთაისის „აიას“ მოთამაშე მწვრთნელმა ბესიკ ხამაშურიძემ „გამოიმუშავა“, რომელიც პარალელურად გახდა საქართველოს შიდა პირველობის საუკეთესო მოთამაშეც და მწვრთნელიც. ესევე იყო ჩემპიონატში საუკეთესო მელელოვეც, მის ანგარიშზე წლეულს 13 ლელოა.

დაჯილდოვდა უმაღლესი ლიგის ბომბარდირიც – „არმაზის“ დამრტყმელი და წლეულს 195 ქულის მომგროვებელი დავით კიკნაძე.

**2011 წლის შიდა პირველობის სიმბოლური 15-ეული კი ასე გამოიყურება:**

**15 ბესიკ ხამაშურიძე („აია“), 14 გიორგი შკინინი („არმია“), 13 სანდრო თოდუა („ლელო“), 12 ირაკლი ჩხიკვაძე („აია“), 11 სანდრო ტუჩაშვილი („არმია“), 10 ლაშა ხმალაძე („ლელო“), 9 ბიძინა სამხარაძე („აია“), 8 გივი ბერიშვილი („ლოკომოტივი“) და ბესიკ უდესიანი („არმია“), 7 გიორგი კალმახელიძე („არმია“), 6 გიორგი თხილაიშვილი („არმია“), 5 დავით ჩიტიძე („ლოკომოტივი“), 4 ხვიჩა ბუჯიაშვილი („არმია“), 3 გიორგი ვეფხვაძე („ლოკომოტივი“) და ტარიელ ჩხიკვაძე („აია“), 2 ბექა მეკოკიშვილი („არმია“), 1 ზურაბ ჟვანია („აია“).**

იყო კიდევ ერთი საინტერესო ნომინაცია – რაგბის კავშირმა დააჯილდოვა 2011 წლის თავდადებული მოთამაშეები, ანუ ისინი, ვინც უმაღლესი ლიგის ყველა მატჩი შეუცვლელად ჩაატარეს. ესენი არიან: **უილიამ კაიფაჯიანი** („არმაზი“), **დავით კიკნაძე** („არმაზი“), **გიორგი ჟუაძე** („აკადემია“), **ილო დავითაშვილი** („აკადემია“), **ირაკლი ყიასაშვილი** („ლელო“), **უჩა ალაშვილი** („ხარები“), **ილია გოგიაშვილი** („ხარები“).

◎ „ბენდელას თასი – 2011“

# სტუდენტური გვირგვინი

**აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული ახალგაზრდა ფეხბურთელის ზაზა ბენდელიანის ნათელ ხსოვნას სათუთად ინახავენ მისი ახლობლები, რასაც ბავშვობის მეგობრების – ძმების კახა და ქართლოს ჭუმბურიძეების ინიციატივით დაფუძნებული მემორიალიც მოწმობს. ამ დღეებში „ბენდელას თასი“ უკვე 23-ედ გათამაშდა, ამჯერად გიორგი ნემსაძის სახელობის ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს“ ხელოვნურსაფარიან სტადიონზე. დაგვეთანხმებით, ნეტავ ყველას ჰყავდეს ასეთი ჭირისუფლები, ათეული წლების განმავლობაში რომ ერთგულობენ ტრადიციას.**



წლევანდელი ტურნირის მთავარ ფავორიტად თავიდანვე ითვლებოდა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის გუნდი სეუ, რომელიც აღნიშნული ასპარეზობის სამგზის გამარჯვებულია. სამართლიანადაც – მის ღირსებას ხომ ლეგიონერებთან – ჭანტურიასთან, კაშიასთან და ნავალოვსკისთან ერთად კახელიშვილი, ოდიკაძე, უმცროსი ჩივაძე და უზერეზელი გოგოლაძე იცავდნენ. მაგრამ კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ხელოვნურსაფარიან მოედანზე თამაში სპეციფიკური საქმეა და განსაკუთრებულ განსწავლულობას მოითხოვს.

მოამაგე რექტორის გია კავთელიშვილის შეგირდებს პრობლემები ნახევარფინალშივე შეექმნათ, როცა სამედიცინო უნივერსიტეტის მინიფეხბურთელთა ნაკრებს უაღრესად მწვავე ბრძოლა ოდიკაძის მიერ საჯარიმოთი გატანილი კინკილა გოლით მოუგეს – 1:0.

აი, ფინალურ შეხვედრაში კი პური უკვე სამართალმა ჭამა.

მოგეხსენებათ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტი მინიფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების წევრია, ამიტომ სრულიადაც არაა გასაკვირი, რომ მთავარი პრიზის მფლობელის ვინაობა პირველივე ტაიმში გადაწყდა – 3:0 (ბარამიძე – 2, მაისაია). მართალია, შესვენების შემდეგ ბესო არველაძის გაწვრთნილ გუნდს დაღლა დაეტყო, მაგრამ ამას მატჩის საბოლოო შედეგზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია, რადგან მრისხანე მეტოქემ მხოლოდ ანგარიშის შემცირება მოახერხა (ჩივაძე, კაშია) – 2:3.



ასე რომ, თსუ-მ პირველად, თანაც დამსახურებულად მოიპოვა „ბენდელას თასი“. ვულოცავთ!

რაც შეეხება ინდივიდუალურ პრიზებს, სპეციალურმა ჟიურიმ უპირატესობა შემდეგ მონაწილეებს მიაკუთვნა: **საუკეთესო მეკარე** – თორნიკე ბუკია (თსუ), **საუკეთესო ნახევარმცველი** – თეზო ბარამიძე (თსუ), **საუკეთესო თავდამსხმელი** – გურამ კაშია (სეუ), **ტურნირის საუკეთესო მოთამაშე** – კახა მაისაია (თსუ).

დავძენთ, რომ ბავშვთა ტურნირის ფინალში „დინამომ“ 2:0 სძლია „ჩემპიონს“. მესამე პრიზიორი „ქუთაისი“ გახდა.

◎ ინტერნეტიდან

## სპორტული პრესის რჩეულნი

**სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციამ (AIPS) 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენებად დაასახელა სერბი ჩოგბურთელი ნოვაკ ჯოკოვიჩი და ნორვეგიელი მოთხილამურე ქალი მარიტ ბიორგენი.**

მსოფლიოს პირველი ჩოგანოსანი მამაკაცთა შორის ჯოკოვიჩი „დიდი მუზარადის“ სამი ტურნირის გამარჯვებული და რეკორდსმენია საპრიზო თანხების მიხედვით ერთ სეზონში. მან მიიღო ქულების ყველაზე მეტი რაოდენობა მსოფლიოს 82 ქვეყნის 379 ჟურნალისტიდან.

ჯოკოვიჩმა ხმებით გადაუსწრო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს, არგენტინელ ლიონელ მესის, იამაიკელ მორბენალ უსეინ ბოლტს, გერმანელ ავტომრბოლს სებასტიან ფეტელსა და შვეიცარიელ ჩოგბურთელ როჯერ ფედერერს, რომლებიც პირველ ხუთეულში შევიდნენ.



ოთხი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედლის მფლობელი სათხილამურო სპორტის მსოფლიო ჩემპიონატზე, ნორვეგიელი მარიტ ბიორგენი ჟურნალისტთა რჩეული გახდა ქალთა შორის.

არჩევანში მან აჯობა კენიელ მძლეოსან ვივიან ჩერუიოტს, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე მძლეოსნობაში ორი „ოქრო“ მოიპოვა, იტალიელ მოცურავეს ფედერიკა პელეგრინს, ჩეხ ჩოგბურთელს პეტრა კვიტოვასა და ავსტრალიელ მორბენალ სალი პირსონს.

სპორტულმა პრესამ საუკეთესო გუნდად მიიჩნია ესპანური ფეხბურთის გუნდი „ბარსელონა“, მთავარ სპორტულ მოვლენად კი გამოაცხადეს მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში სამხრეთ კორეულ ქალაქ ტეგუში.

## მილიონებმა გამოარჩიეს

**თუ totalprosports.com საიტის მიერ გამოქვეყნებული რეიტინგს გავეცნობით, დავინახავთ, რომ ყველაზე სასურველ სპორტსმენ ქალების ათეულში შვიდი ჩოგბურთელია, რომლებსაც მილიონობით გულშემატკივარმა მისცა ხმა.**



რეიტინგში პირველ ადგილზე ამერიკელი სერენა უილიამსია. მთელი წლის მანძილზე მან დააინტერესა 125 მილიონი გულშემატკივარი.

მეორე ადგილზე მარია შარაპოვაა, რომელმაც 2011 წელს ETA-ს ორი ტურნირი მოიგო და 54700000 მხარდამჭერი მოიპოვა.

მესამე ადგილზე კი 37 200 000 მხარდამჭერით მსოფლიოს ამჟამინდელი პირველი ჩოგანოსანი დანიელი კაროლინა ვოზნიაცკია.

მეოთხე ადგილი მოიპოვა ახლა უკვე ყოფილმა ჩოგბურთელმა, რუსეთელმა ანა კურნიკოვამ – 36 700 000 ხმა, თუმცა მან ბოლოს 2003 წელს ითამაშა, მაგრამ დღემდე არ აკლია თაყვანისცემლები.

მეხუთე ადგილზე ჩოგბურთში ერთადერთი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ამერიკელი ვინუს უილიამსია – 30 500 000 მომხრე.

ჩოგბურთელთა კომპანიას პირველ ათეულში აქ არღვევენ ჩემპიონი თხილამურებით სწრაფ დაშვებაში ლინდსეი ვონი (22 600 000), ავტომრბოლი დანიკა პატრიკი (14 500 000), ფეხბურთში აშშ ნაკრების მეკარე ხოულ სოლო (9 040 000).

ტოპ-ათეულში აგრეთვე მოხვდნენ სერბი ლამაზმანი ანა ივანოვიჩი (12 300 000) და მისი მიმზიდველი კოლეგა მარია კირილენკო (3 540 000).

## ისევ სახელმწიფო სათათბიროში

**მართალია, რუსეთში დიდი არეულობა გამოიწვია სახელმწიფო სათათბიროს („დუმა“) არჩევნებმა – ის გაყალბებულად მიიჩნიეს, მაგრამ მაინც გამართულ ახლადარჩეული სათათბიროს უკვე მეორედ ამშვენებდა პოპულარული მხატვრული ტანმოვარჯიშე ალინა კაბაევა.**



მასთან ერთად სახელმწიფო საქმეებზე იმსჯელებენ მოჭიდავე ალექსანდრე კარელინი, მოკრივე ნიკოლოზ ვალუევი, ჰოკეის ლეგენდა ვლადისლავ ტრეტიაკი.

**სურათზე: ალინა კაბაევა.**

წკეპლიკა

# რად მიხარის ახალი წელი...

2012 მოდის... ქართველებს, ისე როგორც სხვა ხალხებს, ბევრი კარგი ანდაზა გვაქვს. ერთ-ერთი: ახალი ცოცხი კარგად გვის, ძველი მოატანს ქვიშასო"; ჰოდა, ამგვარი გარდათქმა ამეკვიატა — ახალი წელი კადრებს ცვლის, ხომ არ წარიტანს მიშასო... ეგებ ღმერთმა ქნას და კიდევ — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და რუსეთმა ქნან და გაისად მართლაც შეიცვალოს ეს ხელისუფლება.

რასაკვირველია, პარლამენტსაც ვგულისხმობ, თორემ თუ დარჩა, მტრისას: ხო აზრზე ხართ, სადაც უდრაკონო 2011-ში ამდენი დრაკონული კანონი მიიღეს, დრაკონის 2012-ში რაღას იქმენ...

ახლა დავუშვათ და, ქნა ღმერთმა და ქნეს აშშ-მა და რუსეთმა და წავიდა ნაციონალების, „დავაზუსტოთ", მაქციონალების ხელისუფლება, ვთქვათ, მაისის შემდეგ. დავუშვათ და მოვნიშნოთ, მოდური გამოთქმით, დავაფიქსიროთ, რამდენი რამე დახვდება გასაკეთებელი ახალს, ანუ გასასწორებელ-გამოსასწორებელი:

ქუთაისში გადატანილი პარლამენტის უკანვე, თბილისში გადმოსატანი, დასაბრუნებელი; აგორებულ-გაგორებული ჩვენთა დიდთა წინაპართა ძეგლები თავ-თავის ადგილზე გამოსაგორებელი, დასაბრუნებელი — თბილისში, გორში, ქუთაისში, ბათუმში... ძეგლები, დიახაც რომ საძეგლეები (საძაგლეები!ძ — ასაღები: ფალოსი იქნება თბილისში, გმირთა მოედანზე, ველოსიპედი (ორსაჭიანი!ძ ვარდების მოედანზე, რეიგანისა რიყის პარკში თუ კვერცხებ-ფოსტლები ბათუმში... პოლიციის შუშის გამჭვირვალე შენობები — გასამუქებელი... ნაგავზე მიბმული კომუნალური გადასახადები — გასაუქმებელი... „ძირს უკბილებო რესპუბლიკის" პროგრამა, 30 ვერცხლად (ლარად!ძ გაყიდული გლეხობის სავაუჩერო პროგრამასთან ერთად — შესაჩერებელი... აი, თბილისის ქუჩებში აღმართულ საჰაერო უსარგებლო ხიდებს რა მოუხერხდება — ეგ კი ვერ წარმოვიდგინე... დედა, ბიჭო, რამდენი ხარჯი დასჭირდება ამდენი რამის „დაბრუნებას და შინ მოსვლას" — აქ ხომ ყველაფერი არ ჩამომითვლია — ვინ დასთვალოს, ზღვაში ქვი-



შისა არ იყოს. ეგებ ისევ ის ძველი მეგობარი — აშშ დაგვეხმაროს ოთხნახევარი მილიარდი დოლარით...

ხსენებაზე, ვის უხარის „დაბრუნება და შინ მოსვლა"? — ვისაც ახალი პრეზიდენტი ჰყავსო!..

**ბერდია ბედოიძე**

ეს წვრილმანი არ არის

# შედეგი სახეზე!

## როგორ გარდავიქმნეთ საახალწლო დღესასწაულებზე

**საახალწლო დღესასწაულებს სახლში აწყობთ? ნუ გაგიფუჭდებათ განწყობილება!**

**— არასამუშაო დღეები — ყველაზე ხელსაყრელი დროა, რომ საკუთარ თავს მივხედოთ, — გვირჩევენ სპეციალისტები. — დაუთმეთ ძალიან ცოტა დრო საკუთარ თავსაც, საყვარელ ადამიანსაც — და მალე იგრძნობთ ცვლილებებს უკეთესობისკენ.**



### გამოიძინეთ!

ეს რჩევა, როგორ ბანალურადაც უნდა მოგეჩვენოთ, მიიღეთ. ძილის დროს ორგანიზმში ხდება



უამრავი მნიშვნელოვანი ბიოქიმიური პროცესი, მათ შორის უჯრედების თვითწმენდა და ახლების სინთეზი. ამით აიხსნება გამოძინებულის სალი სახე!

### გაიარეთ საოჯახო კოსმეტიკური პროცედურების კურსი

კოსმეტიკურ მოვლაში მთავარია — რეგულარულობა. პროცედურების 10-დღიანი კურსის ეფექტი უფრო შესამჩნევი იქნება. ყველაზე აქტუალური ნიღაბი ზამთრისთვის — ეს არის დამატენიანებელი. მაგრამ ჯერ კანი კარგად უნდა გავიწმინდოთ. დაგვეხმარება შვრიის ფანტელების ნიღაბი: ერთი სუფრის კოვზ ფანტელს დაასხით 3 კოვზი მდუღარე წყალი, გააჩერეთ 15 წუთი, მიღებული ფაფა დაიდეთ სახეზე



სქელ ფენად 15-20 წუთით და ჩამოიბანეთ თბილი წყლით. დატენიანებისთვის გახეხეთ ვაშლი და სტაფილო წვრილ სახეხზე. ნუ გაწურავთ — დაიდეთ სახეზე.

### ხშირად ისეირნეთ სუფთა ჰაერზე

როდესაც ამბობენ, რომ ადამიანს სახის კარგი ფერი აქვსო, მხედველობაში აქვთ, რომ მას სისხლის კარგი მომარაგება აქვს. შესივება, მკრთალი კანი — მოდუნებული მოვლენების შედეგია, ვისაც უნდა ვებრძოლოთ მასაჟით, ნიღბებით, ფიზიოთერაპიით და ა.შ. მაგრამ სისხლის მომარაგებას შესანიშნავად აღადგენს სათხილამურო გასეირნება, სრიალი როლიკებსა და ციგურებზე ან, უბრალოდ, გუნდაობა! ყოველდღიურ გასეირნებას კი მოაქვს გაცილებით უფრო საგრძნობი ეფექტი — სახის მასაჟი ხომ აუმჯობესებს მხოლოდ ერთი მონაკვეთის სისხლის მომარაგებას, სათხილამურო გასეირნება კი მიაქანებს სისხლს მთელს ორგანიზმში.



### მიბრძანდით აბანოში!

ცხელი ორთქლი ხსნის ფორებს — ხდება სახის ბუნებრივი წმენდა — და ნორმაში მოჰყავს კანის ჯირკვლების მუშაობა, აუმჯობესებს სისხლის მომარაგებასა და კანის მიკროცირკულაციას,



ავარჯიშებს სისხლძარღვებს, ასწორებს პატარა ნაოჭებს. გასუფთავებული კანი კოსმეტიკური საშუალებების ყველაზე მეტად ამთვისებელია, ამიტომ მაქსიმალურ ეფექტს ისინი იძლევიან აბანოს შემდეგ. ყოველდღე აბანოში სიარული არ არის საჭირო — 10 დღეში ერთი-ორი წასვლა სავსებით საკმარისია.

### ჭამეთ საათების მიხედვით

ჯანმრთელობისა და სილამაზის მთავარი მტერი — არასწორი რაციონი და საკვების არარეგულარული მიღებაა. საახალწლო დღეებში დაიცავით წესი „საუზმე, სადილი და ვახშამი", უარი თქვით საკვების გვიან მიღებაზე, მინიმუმამდე დაიყვანეთ მარილის მოხმარება, კერძების ნაწილი, რომელმაც თერმული დამუშავება გაიარა, შეცვალეთ მსგავსი, მაგრამ ნედლი პროდუქტებით — და შედეგი, როგორც იტყვიან — სახეზეა!



### გაესაუბრეთ სარკეს!

სილამაზის სალონში კლიენტს, ვინც კოსმეტოლოგიდან გამოვიდა, თანამშრომლები ხვდებიან აღფრთოვანებით: „გამაოგნებელი ეფექტია! მზეთუნახავია!" ეს აიძულებს „მზეთუნახავს", თუნდაც იგი ვერ ხედავდეს ცვლილებებს თავის გარეგნობაში, ეძებოს და აღმოაჩინოს ცვლილებები უკეთესობისკენ. ხოლო თუ ქალი ფიქრობს, რომ ის ლამაზია, — იქცევა და გრძნობს კიდეც თავს შესაბამისად.



## სტატიაში გამოყოფილი ტექსტი

**ახალი წლის დღეები — ოპტიმალური დროა იმ „სერიოზული" გამაახალგაზრდავებელი პროცედურების შესასრულებლად, რომლებიც ვარაუდობენ ხანგრძლივ აღდგენითს პერიოდს. ზამთრობით არ არის აქტიური მზე, რასაც რადიკალური გაახალგაზრდავების შემდეგ საწინააღმდეგო მაჩვენებელი აქვს.**

**● ბლეფაროპლასტიკა — თიაქარის პარკებისა და უპეებზე ზედმეტი კანის მოცილება. შედეგს იძლევა ნებისმიერ ასაკში, როდესაც ამის აუცილებლობა (ზოგჯერ ის წარმოიქმნება 25-30 წლებში) საშუალებას გვაძლევს ჩამოვიცილოთ 5-10 წელი.**

**● პილინგი — კანის ზედა ნაწილის მოხსნა. ქიმიური პილინგი მაჩვენებელია ხანდაზმული კანისთვის, როდესაც არის არათანაბრობა, პატარა პარკუჭები, პიგმენტური ლაქები, სისხლძარღვოვანი ვარსკვლავები, ნაოჭები, რომლებსაც ის წარმატებით ებრძვის.**

**● კრიოდერმობრაზია — კანის გახეხვა თხევადი აზოტის დახმარებით. გვეხმარება კანის ნაჭდევებისა და ატროფული ცვლილებების დროს, სტიმულს აძლევს კანის ახალი უჯრედების ზრდას, აქრობს ნაოჭებს ზედა ტუჩის თავზე.**

**● კონტურული პლასტიკა — ქსოვილების კორექცია გიალურის მჟავის პრეპარატების ინიექციებით. მაჩვენებლები: კანის ასაკობრივი ცვლილებანი — ტუჩ-ცხვირის ნაკეცები, წარბებშორისი ნაოჭები, ჩამოშვებული ლოყები, „მოქმუჭნული" ტუჩები.**

**● ლიპოფილინგი — სახის ოვალის კორექცია საკუთარი ცხიმის უჯრედებით (დუნდულოებიდან ან მუცლის არედან). დადებითი მაჩვენებლები აქვს კანის ასაკობრივი ცვლილებების დროს, აუმჯობესებს სახის კონტურებს, დრეკადობას, ახდენს დეფექტების კორექტირებას.**

**სხვათა შორის**

**ნუ აჰყვებით ცდუნებას გაიაროთ პროცედურა კერძო კოსმეტოლოგთან. რადიკალური ჩარევები, რომლებიც ითვალისწინებენ პაციენტის კანსა და სისხლში შეღწევას, მოითხოვენ სტერილურ პირობებს, რაც შესაძლებელია მხოლოდ კლინიკაში.**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

ერიჰა!

# ტომი-ტემის უჩვეულო ამბავი

**როგორც გნებავთ მაღალი ტრიბუნებიდან „ტოლერანტობის" თავგამოდებულმა აპოლოგეტებმა იმდენი შეიძლება იქადაგონ, მაგრამ, ვფიქრობ, ეჭვი არავის ეპარება, რომ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს, რომლის გადაბიჯების უფლება საზოგადოებრიობამ არავის უნდა მისცეს! მათ შორის, ცხადია, მხედველობაში სექსუალურ უმცირესობათა წარმომადგენლებიც მყავს, რომლებიც გლობალისტთა შემოტევის გრიალში თანდათან წინა პლანზე გამოდიან და რომელთა თავხედობა, ისედაც ბუნებრივი მოურიდებლობისა და უსირცხვილობის ფონზე, სულ უფრო მეტი აგრესიულობით გამოირჩევა.**

ლესბოსელები და ჰომოსექსუალისტები, ათასგვარი სხვა ყაიდის სექსუალური გადახრების მქონე ადამიანები, ყველა ერსა და ყველა დროში არსებობდნენ, მაგრამ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, გლობალისტების „ტოტალური ტოლერანტობის" იდეას ამოფარებულებმა, მათ ღია ომი გამოუცხადეს საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებულ რელიგიურ-ზნეობრივ-სამართლებრივ ნორმებს და პირდაპირ შეტევაზე არიან გადმოსულები. ამის მაგალითების საძებნელად შორს წასვლა ნამდვილად არაა საჭირო — აგერ, თუნდაც, მარტო საქართველოს ტელეეთერის, ასე ვთქვათ, „ფლაგმანების" ზოგიერთი სკანდალური გადაცემა გავიხსენოთ, ხოლო ყოველდღიურ გადაცემებსაც რომ შევხედოთ, ფაქტობრივად, დღე არ გავა, ერთი მაინც ვინმე „იმნაირი" არ წარმოგვიჩინონ გულის გასახეთქად.



ბევრ ქვეყანაში არატრადიციული ორიენტაციის პირებმა (თუ უკანალებმა?ძ უკვე ოფიციალურად მიაღწიეს ერთსქესთა ქორწინებების უფლებას, შვილების ყოლაც და მათი აღზრდის შესაძლებლობაც აქვთ. მაგრამ, როგორც ჩანს, მათთვის ეს საკმარისი არ არის და ახლა უზნეობის ახალ „წრეზე" მიდიან. კერძოდ, ცოტა ხნის წინათ მასმედიაში გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ამერიკელ ლესბოსელთა წყვილი თავიანთ 11 წლის ნაშვილებ ბიჭუნას სქესის შეცვლას უპირებს, რისთვისაც მას... ჰორმონებით ტენიან! ამასთან „ოჯახური წყვილი" ირწმუნება, რომ ბიჭუნას თავად უნდა გოგონად გახდომა, მედიკოსებმა კი ახლავე დაიწყეს იმის თაობაზე კამათი, შეიძლება თუ არა ერთსქესა წყვილებისთვის ბავშვების აყვანის უფლების მიცემა?

პოლინ მორენოსა და დებრა ლობელის „ოჯახი" კალიფორნიაში ცხოვრობს. რამდენიმე წლის წინათ მათ ბიჭუნა ტომი იშვილეს, ახლა კი ამტკიცებენ, რომ იგი გოგონად სახელად ტემიდ გადაქცევაზე ოცნებობს! თანაც მარტო ამაზე „ოცნებით" საქმე არ შემოიფარგლა: „დედიკოებმა" მედიკოსებისგან ბავშვისთვის სქესობრივი მოწიფულობის დამმუხრუჭებელი პრეპარატების მიცემის უფლება მიიღეს! ამდენად, „მშობლებს" მიაჩნიათ, რომ ტომის უფრო მეტი დრო ექნება „საკუთარ თავში გასარკვევად და იმის გადაწყვეტა, თუ ვინ უნდა მომავალში რომ იყოს — ყმაწვილი თუ ქალიშვილი".

ლესბოსელთა წყვილის მომხრეები (ასეთებიც უმალ გაჩნდნენ!ძ ირწმუნებიან, რომ ბავშვისთვის ჰორმონების მიცემაში საშიში არაფერია. მათი მოწინააღმდეგენი კი ამტკიცებენ, რომ ეს ბავშვის ბუნებაზე ძალადობაა. მათი აზრით, 11 წლის ბავშვს ამ ასაკში ჯერ არ შეუძლია ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც უბრალოდ კი არ შეცვლის, არამედ ამოატრიალებს მის ცხოვრებას. ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის ფსიქიატრიის პროფესორმა პოლ მაკჰიუმ „დედობილებს" უპასუხისმგებლო ადამიანები უწოდა და ბავშვის მიმართ სასტიკ მოპყრობაში დაადანაშაულა. მის აზრს სხვა სპეციალისტებიც იზიარებენ და ბავშვის ორგანიზმში ასეთ ჩარევას „ბარბაროსობას უწოდებენ", რომელსაც ფსიქიკურის გარდა, შესაძლოა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ზოგადი პრობლემებიც მოჰყვეს. საქმე ის არის, რომ ჰორმონების მიღებისას ზრდასრულ ტრანსექსუალებსაც კი გულთან და კიბოს წარმოშობასთან დაკავშირებული საფრთხეები ემუქრებათ.



მაგრამ, „დედიკოების" გადარწმუნება ვერაფრით ხერხდება — ისინი დარწმუნებული არიან, რომ ჰორმონები ტემის (ისინი ბიჭუნას უკვე ამ გოგონას სახელს უძახიან!ძ „ცხოვრების სწორ გზაზე დააყენებს". მათი თქმით, ბავშვი თავს გოგონასთან სამი წლის ასაკიდან აიგივებს, თუმცა ახლა ფსიქიატრები მაინც შეშინებულნი და რამდენიმე კონსულტაციის შემდეგ გადაწყდა, რომ 14-15 წლის ასაკამდე იგი ჰორმონების დამბლოკავ პრეპარატებს მიიღებს, შემდეგ კი სქესს თავად აირჩევს. თუ იგი ქალობას გადაწყვეტს, სქესის შეცვლის ოპერაცია მისი მეტამორფოზის მომდევნო ეტაპი იქნება.

**ირმა ირემაშვილი**



⊙ სულიერება



## გიორგი მწერალი და მისი ძმა საბა — გიორგი მთაწმინდელის ბიძები

**1 იანვარს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ხახულის მონასტერში მოღვაწე ძმებს გიორგის და საბას.**

...გიორგი მწერალმა გარკვეული როლი შეასრულა გიორგი მთაწმინდელის აღზრდაში. გიორგი სამცხის დიდებულის — ფერის ჯოჯოკის ძის კარზე მიიწვიეს სულიერ მოძღვრად, სადაც მან პატარა გიორგიც წაიყვანა. ფერის ჯოჯიკის ძის სიკვდილით დასჯის შემდეგ მისი მეუღლე თავისი ამალით, რომელშიც გიორგი მწერალი და პატარა გიორგიც შედიოდნენ, კონსტანტინეპოლს წაიყვანეს.

ბიძა-ძმისწულმა იქ 12 წელი დაჰყვეს, სადაც გიორგი თავისი ძმისშვილის სწავლა-განათლებაზე ზრუნავდა...

დიდია ღვაწლი ხახულში მოღვაწე ძმებისა, რომლებიც XI საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდნენ.

**გიული ლიპარტია**

⊙ მილოცვა

## მრავალს დაესწარით, ჩემო საყვარელო აბაშლებო!..



სიყვარულს, მოგეხსენებათ, მრავალსიტყვაობა არ უყვარს. ამიტომ სიტყვაძუნწად გამოვხატავ ჩემს დიდსა და გულწრფელ სიყვარულს აბაშისა და აბაშლების მიმართ. სულითა და გულით გილოცავთ, ჩემო ძვირფასებო, ოცდამეერთე საუკუნის კიდევ ერთ ახალ წელიწადს და ვისურვებდი, რომ 2012 წლის თითოეული წუთი სულ ჯანმრთელობის, სიხარულისა და ბედნიერების წუთი ყოფილიყოს თითოეული აბაშელის ოჯახისთვის.

აქვე იმასაც ვინატრებდი, რომ საერთო ქართულ კეთილდღეობაში წლეულსაც თავისი კუთვნილი ღირსეული წვლილი შეეტანოს ჩვენს აბაშას, რომელსაც მართლაც ჩინებული თავკაცი ჰყავს ჩემი ძველი მეგობრის გურამ გუნავას სახით.

მილოცვასთან ერთად ალალად ვეუბნები მადლობას აბაშის საკრებულოს, მის თავმჯდომარეს დავით თოფურიას, გამორჩეულად საქმიან ახალგაზრდა კაცს. ჩემთვის ძალიან საამაყოა, რომ ამჯერად მეც აბაშის საპატიო მოქალაქე გავხდი, აბაშის საპატიო მოქალაქეობას ვულოცავ აგრეთვე აბაშის პატრიოტებს — რომან კიზირიას, ჯემალ გრიგოლიას, ლევან მაკალათიას.

ძალიან მინდა, რომ ამ ახალ წელს, რომელიც, ალბათ, მრავალმხრივ გამორჩეული წელიწადი იქნება, მთელ საქართველოსთან ერთად ჩვენი აბაშაც გაბრწყინებულიყოს, დაე მუდამ მშვიდობიანი ცა დაჰყურებდეს სამეგრელოს ამ უმშვენიერეს რაიონს.

გაგიმარჯოთ, ყოველ თქვენს საქმეში სულ გამარჯვება დაგბედებოდეთ, ძვირფასო მეგობრებო.

*სიყვარულითა და პატივისცემით თქვენი*
**თენგიზ კალანდაძე**

⊙ წარდგინება

## გზა დავულოცოთ ტურიზმის აკადემიას!



**მეტად სასიხარულო დღე გათენდა ამა წლის 29 დეკემბერს თბილისის ტურიზმის აკადემიაში (თბ. კოსტავას №47ძ — სხდომათა დარბაზში გაიმართა ამ ახალი უმაღლესი სასწავლებლის წარდგენისადმი მიძღვნილი შეხვედრა-საღამო.**

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიის დამფუძნებელმა და დირექტორმა პროფესორმა



დამფუძნებლები: პროფესორი ნუგზარ წერეთელი და პროფესორი ამირან მექვაბიშვილი

ამირან მექვაბიშვილმა. მან შეკრებილთ აუწყა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით, თბილისში დაარსდა ტურიზმის აკადემია, რომელსაც მიენიჭა ამ დარგში ერთ-ერთი პირველი სასწავლებლის უფლებამოსილება, ავტორიზაცია.

აკადემიის პროგრამირებასა და მომავალი კადრების აღზრდა-დასაქმების პერსპექტივებზე ისაუბრეს პროფესორ-მასწავლებლებმა: ნიკო კვარაცხელიამ, ქეთევან სესიაშვილმა, ელიზა ოზბეთელაშვილმა, ზვიად არძენაძემ და სხვებმა. საღამოზე მასპინძლებს ტურიზმის აკადემიის დაბადება მიულოცეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ტურიზმის დეპარტამენტისა და ტურიზმის სააგენტოების ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

თბილისის ტურიზმის აკადემიის პრეზიდენტისადმი მიძღვნილ შეხვედრა-საღამო შეაჯამა ამ ახალი სასწავლებლის თანადამფუძნებელმა პროფესორმა ნუგზარ წერეთელმა. მან აღნიშნა, რომ ტურიზმის აკადემიას ახლავე შეუძლია, მიიღოს აბიტურიენტთა საბუთები და სწავლას შეუდგეს უკვე მომავალი, 2012 წლის 20 თებერვლიდან. შეხვედრის შემდეგ გაიმართა კონცერტი.

**გზა დავულოცოთ, მეგობრებო, ჩვენს დედაქალაქში დროის კარნახით დაბადებულ ახალ სასწავლებელს — ტურიზმის აკადემიას. დაე, ნაყოფიერი და სამაგალითო ყოფილიყოს მისი მუშაობა!** (სწავლის ხანგრძლივობა ერთიდან ოთხ წლამდე. ჩარიცხვა — გასაუბრებით. გაიცემა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომიძ.

**ხვთისავარ არჩემაშვილი,**
**პროფესორი, ექვთიმე თაყაიშვილის პრემიის ლაურეატი.**

⊙ ინფორმაცია

## გაცვლა — ცამეტი ცამეტზე

სოფელ ერგნეთში, თბილისმა და ცხინვალმა დაკავებული 13-13 ადამიანი გაცვალეს, — ამის შესახებ საქართველოს შს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა, შოთა უტიაშვილმა დაადასტურა.

შეთანხმება დაკავებულთა გაცვლის თაობაზე ქართულ და ოსურ მხარეებს შორის გასულ კვირას სოფელ დვანში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე იქნა მიღწეული.

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 4 იანვარს**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში" 299-62-77; 599 32-85-76.

⊙ კადრი



⊙ ანეკდოტები

— რა საშინელი თოვლჭყაპია... „დვორნიკები" მაინც ჩაგერთოთ, თორემ არაფერი არ ჩანს.

— რა მნიშვნელობა აქვს, ჩავრთავ თუ არა — სათვალეები მაინც სახლში დამრჩენია და...

* * *

მიხო და მარო სასამართლოს დარბაზში ერთმანეთს ეჩურჩულებიან.

— მიხო, იქნებ ამიხსნა, რატომ არის, რომ როდესაც მოსამართლე განაჩენს კითხულობს, უსათუოდ ფეხზე უნდა იდგე?

— იმიტომ, რომ მისი მოსმენის შემდეგ დიდხანს მოგიწევს ჯდომა.



* * *

— შვილო, უკვე ხუთი კოვზი შაქარი ჩაიყარე, რა ხდება, შეყვარებული ხარ? — ეკითხება დედა ქალიშვილს.

— არა, დედა, უბრალოდ ტკბილი ჩაი მიყვარს.

— შენ ხუთი კოვზი შაქარი ჩაიყარე!

— მერე რა, ძალიან ტკბილი ჩაი მიყვარს.

— მაგრამ შენ შაქარი წვნიანში ჩაიყარე...

* * *

„გვეყოფა ამის მოთმენა! მოდი, ამით დავტკბეთ!" — ქართველ მაზოხისტთა პარტია.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24